პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
26 ივნისი
1939 წ.
№ 144 (5544)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვ.)
საბჭოთა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის (მოწინავე)
24 ივლისი სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღეა (1-ლი გვერდი)
საკდესის ცნობა (1-ლი გვ.)
სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მშენებლობაზე (1-ლი გვ.)
პატიოსანი შრომა კოლმეურნეობაში — შეძლებული ცხოვრების ძირითადი წყაროა (მე-2 გვ.)
გერონტი ქიქოძე — იოანე ბატონიშვილი — (ფელეტონი, მე-2 და მე-3 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულება (1-ლი გვ.).
მდგომარეობა სვატოუში (მე-4 გვ.).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მოწვეულ იქნას ამა წლის 20 ივლისს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1939 წ. 23 ივნისი.
ქ. თბილისი.

საბჭოთა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის

„საჭიროა ყოველნაირად ამაღლდეს პროდუქციის ხარისხი მრეწველობის ყველა დარგში“ — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციაში ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ამ დიადი ამოცანის შესრულებაში, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დაუსახა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეჯიბრებაში — უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებსა და შეერთებულ შტატებს, უდიდესი როლი ენიჭება სამრეწველო პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის ორგანიზაციას ჩვენს ფაბრიკებში, ქარხნებსა და მაღაროებში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დამთავრების შემდეგ ფართოდ გაიშალა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა მრეწველობის ყველა დარგში. გამრავლდა საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ნახევარი წლის გეგმას ვადამდე და გადაჭარბებით ასრულებენ. მაგრამ ზოგიერთი საწარმო, გატაცებული გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ივიწყებს სამრეწველო პროდუქციის ხარისხს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა სამრეწველო პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა ფართოდ უნდა გაიშალოს ჩვენს ფაბრიკა - ქარხნებში. თვითეულმა ქარხანამ, თვითეულმა ფაბრიკამ ღირსეულად უნდა დაიცვას თავისი მარკა და მიაღწიოს პროდუქციის ისეთს ხარისხს, რომელიც უცნობია კაპიტალისტური მეურნეობისათვის. სოციალისტური მრეწველობის პროდუქცია მსოფლიოში საუკეთესო უნდა იყოს!

ლენინგრადის სვერდლოვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშაკთა კოლექტივის მიმართვა სამრეწველო პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბოლშევიკური ბრძოლის გაშლის შესახებ დროული და ძვირფასია. ამ ინიციატივას ფართოდ უნდა გამოეხმაურონ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის წარმოებაში წუნის მთლიანად მოსპობისათვის.

სვერდლოველები თავიანთ წერილში ამბობენ: „საბჭოთა მარკა მსოფლიოში საუკეთესო უნდა იყოს! — ეს სიტყვები თვითეული ფაბრიკის, თვითეული ქარხნის საბრძოლო ლოზუნგი უნდა გახდეს. ჩვენ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს პატრიოტები ვართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ პატრიოტები ვართ ჩვენი ქალაქისა, ჩვენი ქარხნისა, ჩვენი საამქროსი. საამქრო უნდა ეჯიბრებოდეს საამქროს, ქარხანა—ქარხანას, ქალაქი—ქალაქს იმისათვის, რომ მათ მიერ გამოშვებული საქონელი და მანქანები ყველაზე უკეთესი, ყველაზე ნაყოფიერი, ყველაზე მკვიდრი და ლამაზი იყოს“.

საწარმოო გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა განუყოფელია სამრეწველო პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, საბჭოთა მარკის ღირსებისათვის ბრძოლისაგან. პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა თვითეული მუშისა და ინჟინერ-ტექნიკოსის, პროფესიული და პარტიული ორგანიზაციის, წარმოების ხელმძღვანელობის საპატიო საქმეა. მაგრამ ეს ანბანური ჭეშმარიტება ერთნაირად როდი ესმით ყველგან. მაგალითად, 26 კომისრის სახელობის ქარხნის პროფესიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ქარხკომის თავმჯდომარეს ამხ. შარაბიანს კრინტიც არ დაუძრავს პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაზე. მისი აზრით, პროდუქციის ხარისხის საკითხი ეხება ქარხნის ადმინისტრაციას და არა პროფორგანიზაციას.

მესამე ხუთწლიანი გეგმით მრეწველობაში გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების ზრდა 65 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 10 პროცენტით. ამის მისაღწევად უნდა „მოეწყოს გადამწყვეტი ბრძოლა უყაირათობასთან, გაცდენებთან და დანაკარგებთან წარმოებაში, შემცირდეს ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები“ (საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციიდან ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო).

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას მიმდინარე წლის ხუთ თვეში უნდა გამოეშვა 78 პროცენტი პირველი ხარისხის ქსოვილი, ფაქტიურად მოგვცა 53,7 პროცენტი. გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლების ასეთი შესრულება იმაზე მიგვითითებს, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვის პროდუქციის ხარისხისათვის, ფაბრიკის საბჭოთა მარკის ღირსებისათვის.

გასულ წლებში თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა ვერ ასრულებდა საწარმოო გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. წელს ფაბრიკა გარღვევიდან გამოდის. პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვებამ ივნისის 20 დღეში 62 პროცენტს მიაღწია, იანვარში იგი 38,9 პროცენტს შეადგენდა.

„ჩვენს ქვეყანაში, სადაც მრეწველობა სახელმწიფოს ეკუთვნის, სახალხოა, არაკეთილხარისხოვანი საქონლის გამოშვება ანტისახელმწიფოებრივი, ანტიხალხური საქმეა. წუნის მკეთებლები სახელს უტეხენ თავის საწარმოს და ზარალს აყენებენ მომხმარებლებს — საბჭოთა მოქალაქეებს, რომელთა ინტერესებს მთელი ჩვენი წყობილება იცავს, რომელთა ინტერესები ყველაზე ძვირფასი და ყველაზე დასაფასებელია თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკისათვის“ („პრავდა“).

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, ფაბრიკა-ქარხნების მთელი კოლექტივების სტახანოვური მუშაობით უნდა მივაღწიოთ საწარმოო გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებას. საბჭოთა სამრეწველო პროდუქცია ყველაზე იაფი და საუკეთესო უნდა იყოს მთელ მსოფლიოში.

სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად

მოსკოვი, 24 ივნისი (საკდესი). კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო სეირნობა.

მიტინგზე თავი მოიყარა მოსკოვის 20 ათასმა მშრომელმა. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ორდენოსანმა პოეტმა ლებედევ-კუმაჩმა დაწვრილებით აღნიშნა, თუ როგორ ასრულებს იგი ამომრჩეველთა განაწესს. მიტინგს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი როდიმცევი, ორდენოსანი პროფესორი ზბარსკი, თვითმფრინავ „მოსკოვის“ შტურმანი მაიორი გორდიენკო.

მიტინგმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ამხანაგ სტალინს.

○

ჩკალოვი, 24 ივნისი (საკდესი). საბჭოების სახლის მოედანზე გაიმართა ფიზკულტურელთა საოლქო პარადი, მიძღვნილი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წლისთავისადმი. დიდი ინტერესი გამოიწვია ინსცენირებამ „ბრძოლა ხასანის ტბასთან“. პარადში 7.500 კაცი მონაწილეობდა.

○

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები და ფიზკულტურელთა პარადები გაიმართა ორიოლში, ნიკოლაევსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. (საკდესი).

28 ივნისს, საღამოს 7 საათზე „კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე მოწვეულია „კომუნისტის“

საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკური თათბირი

აღნიშნულ დღისათვის საკუთარ კორესპონდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

24 ივლისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

საუბარი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისართან, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმან ამხ. ნ. გ. კუზნეცოვთან

ჩვენში დაწესებულია „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე“, რაც ყოველ წელიწადს 24 ივლისს ტარდება. ამ ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მეზღვაურებისათვის. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება გვიჩვენებს, თუ რაოდენ ყურადღებას აქცევენ წითელ ფლოტს პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი.

ეს დადგენილება, ისევე როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მუშურ-გლეხურ სამხედრო-საზღვაო ფლოტში ნამდვილი სამსახურის ვადების შესახებ, უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს წითელფლოტელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შორის.

საბჭოთა ხალხი დაინტერესებულია თავისი საბრძოლო ფლოტით, მას უყვარს იგი. ჩვენი საზღვრის 60.000 კილომეტრიდან 48.000 კილომეტრი საზღვაო საზღვრებზე მოდის. ჩვენი ქვეყანა მძლავრი საზღვაო სახელმწიფო უნდა გახდეს და გახდება კიდეც!

უეჭველია, „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის“ დაწესების შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება ჩვენი ფლოტის კავშირი ხალხთან.

პარტიის, მთავრობისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის მზრუნველობის მეოხებით ჩვენს ფლოტს უკვე აქვს ყველა კლასის გემები — დაწყებული პატარა გემებით და გათავებული დიდი დრედნოუტებით. მის შემადგენლობაში შედის ძლიერი წყალქვეშა ფლოტი, საზღვაო ავიაცია და სანაპირო დაცვა. მუშურ-გლეხურ სამხედრო-საზღვაო ფლოტს ყოველწლობით ემატება სულ ახალ-ახალი წყალზედა და წყალქვეშა გემები, რომლებიც შეიარაღებულია მოწინავე თანამედროვე ტექნიკით.

სულ ამ ცოტა ხნის წინათ ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის საგაზაფხულო ვარჯიშობაში მონაწილეობა მიიღო ახალი სამხედრო გემების მთელმა შენაერთმა. ამასწინათ ვლადივოსტოკში მოვიდნენ სამხედრო გემები, რომლებიც რამდენიმე ალმის შემადგენლობით შავი ზღვიდან წყნარი ოკეანის წყლებში გადავიდნენ. საბჭოთა მარკის გემებმა საუცხოო თვისებები გვიჩვენეს: მანქანები და მექანიზმები უნაკლოდ მუშაობდნენ. ქარიშხალთან ბრძოლაში, ტროპიკებში ნაოსნობის მძიმე პირობებში წითელფლოტელებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა კარგი საზღვაო გაწრთვნა გვიჩვენეს. გემები შემატა აგრეთვე სხვა ფლოტებსა და ფლოტილიებსაც.

ეჭვს გარეშეა, რომ გემთმშენებლობის მრეწველობა „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის“ დაწესებას საბრძოლო გემების გამოშვების კიდევ უფრო მაღალი ტემპებით უპასუხებს.

24 ივლისს ჩვენ მოვახდენთ ჩვენი მიღწევების დემონსტრაციას, დავანახვებთ ჩვენს ქვეყანას რაც კი რამ მოგვეპოვება საუკეთესო ჩვენს ფლოტში, — შესანიშნავ საბჭოთა ადამიანებს, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი დიდი სტალინის უსაზღვროდ ერთგულ პატრიოტ მეზღვაურებს. ამ დღეს ჩვენ ყოველ წელიწადს ჩავაბარებთ ანგარიშს ჩვენს ქვეყანას ჩვენი მუშაობის, ჩვენი საქმეების შესახებ.

ჩვენს წინაშე დასახულია მთელი რიგი გადაუდებელი ამოცანები. ჩვენ კიდევ უფრო სწრაფად უნდა ავითვისოთ უახლოესი ტექნიკა, უნდა შეგვეძლოს მისი გამოყენება ყოველგვარ საბრძოლო პირობებში. წითელი ფლოტის პირად შემადგენლობას მოეთხოვება მაღალი დისციპლინა, წვრილმანებამდე შემუშავებული ორგანიზაცია ჩვენი სამსახურისა.

ერთერთ უაღრესად სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს კადრების— ფლოტის მომავალ მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და სპეციალისტთა მომზადება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მუშურ-გლეხურ სამხედრო-საზღვაო ფლოტში ნამდვილი სამსახურის ვადების შესახებ ხელს უწყობს ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ისევე როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმია, ყოველ წუთს მზად არის გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ყველა იმათ, ვინც შეეცდება დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობა.

ჩვენს ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე არაერთხელ მიუცია გაკვეთილი იმათთვის, ვინც გაბედავდა მის საზღვრებზე თავდასხმას. რუს მეზღვაურებს არაერთხელ გამოუჩენიათ გმირობისა და თავგანწირვის მაღალი ნიმუშები. რუსეთის ახალგაზრდა ფლოტმა თავის დროზე ჭკუის სასწავლი გაკვეთილი მისცა იმდროინდელ ისეთ პირველხარისხოვან სამხედრო სახელმწიფოს, როგორიც იყო შვეცია. უკვდავი სახელი მოიხვეჭეს რუსმა მეზღვაურებმა უძლიერეს მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ჩესმასთან, ნავარინთან, სინოპთან და სევასტოპოლთან. თავდადებით იბრძოდნენ რევოლუციური მეზღვაურები სამოქალაქო ომის დღეებში. წითელი მეზღვაურები უშიშროებისა და სიმამაცის ნიმუშებს გვიჩვენებდნენ ბალტიის ზღვაზე, შავ ზღვაზე, ცარიცინთან, დნეპრზე წარმოებულ ოპერაციებში.

პარტიის, მთავრობის ხელმძღვანელობით, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა ჩვენი სამშობლოს შესაფერის ფლოტს ჰქმნის. (საკდესი).

საკდესის ცნობა

15 მაისიდან დაწყებული უცხოეთის მთელი რიგი გაზეთები, ემყარებიან რა კვანტუნის არმიის შტაბის არასწორ ცნობებს, იძლევიან ინფორმაციას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარის ნაწილებსა და იაპონია-მანჯურიის ჯარებს შორის მომხდარ შეტაკებათა შესახებ. იაპონიის გაზეთები ყალბად ამტკიცებენ, ეს შეტაკებები გამოწვეულია იმით, რომ მონღოლეთის ჯარმა მანჯურიის საზღვარი დაარღვიაო. ამავე დროს იაპონიის გაზეთები კვეხნით გაჰყვირიან „დიდი“ ზარალის შესახებ, რომელიც თითქოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარმა და ავიაციამ განიცადა.

იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც მიღებულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მყოფი მონღოლეთ-საბჭოთა ჯარების შტაბიდან, საკდესს შესაძლებლობა აქვს გამოაქვეყნოს შემოწმებული ცნობები მონღოლეთ-მანჯურიის საზღვარზე მომხდარი ამბების შესახებ.

სინამდვილეში მანჯურიის საზღვარზე ბუირ ნურის ტბის რაიონში შემდეგი ამბები მოხდა.

11 მაისს მონღოლეთის სანაპირო სადარაჯოებს, რომლებიც განლაგებულია ნომონ კან ბურდ ობოს რაიონში (ბუირ ნურის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით და 16-20 კილომეტრის მანძილზე მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთით) მოულოდნელად თავს დაესხნენ იაპონია-მანჯურიის ჯარები და მონღოლეთის სანაპირო სადარაჯოები იძულებული იყვნენ დაეხიათ საზღვრის დასავლეთით მდინარე ხალხინ გოლისაკენ. 12 მაისიდან მოყოლებული 10 დღის განმავლობაში ამ რაიონში თითქმის ყოველდღე ხდებოდა შეტაკებები საზღვარზე, რომელთა შედეგად მოკლული და დაჭრილები ორივე მხარეზე იყვნენ. 22 მაისს იაპონია-მანჯურიის გაძლიერებული ჯარები, რომლებმაც სცადეს იერიში მოეტანათ ჩვენს ნაწილებზე და შემოჭრილიყვნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მნიშვნელოვანი ზარალით უკუქცეულ იქნენ საზღვარს იქით. 28 და 29 მაისს იაპონია-მანჯურიის ჯარები, რომელთაც მოუვიდათ იაპონელთა ახალი მნიშვნელოვანი მაშველი ჯარი, ჩამოსული ხაილარიდან ტანკებით, ჯავშნიანი მანქანებით, არტილერიით და დიდძალი ავიაციით, კვლავ შეიჭრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მოსულმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარმა დაამარცხა და გაჰფანტა თავდამსხმელები. მანჯურია-იაპონიის ჯარებმა მრავალი მოკლული და დაჭრილი და დიდძალი იარაღი დასტოვეს ბრძოლის ველზე და დაიხიეს უკან თავის ტერიტორიაზე.

ამ ბრძოლაში მანჯურია-იაპონიის ჯარებს 400-ზე მეტი კაცი მოუკლეს. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ არმიას ამ ბრძოლებში მოუკლეს 40 კაცი და დაუჭრეს 70.

იაპონელთა სამი განადგურებული შტაბის, მათ შორის პოდპოლკოვნიკ აძუმის რაზმის შტაბის იმ დოკუმენტებში, რომლებიც ხელთ იგდეს, არის იაპონიის მე-29 დივიზიის მეთაურის გენერალ ლეიტენანტ კამაცუბარის 21 მაისის ნამდვილი ბრძანება ხაილარიდან. ამ ბრძანებაში გენერალი კამაცუბარა სხვათა შორის უცხადებს თავის ჯარის ნაწილებს, რომ — „დივიზიამ მარტო თავისი ნაწილებით უნდა გაანადგუროს გარე მონღოლეთის ჯარი ხალხინ გოლის რაიონში“.

სახმელეთო ჯარის შეტაკებებთან ერთად ადგილი ჰქონდა აგრეთვე ავიაციის შეტაკებებს. 28 მაისს იაპონელთა ავიაგამანადგურებლებისა და ყუმბარმტყორცნების ჯგუფმა დაარღვია საზღვარი და მოულოდნელად დაესხა თავს მონღოლეთის არმიის ორ საველე აეროდრომს. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაგამანადგურებლები, რომელთათვისაც ეს თავდასხმა მოულოდნელი იყო, რამდენიმე დაგვიანებით ავიდნენ ჰაერში, რამაც უპირატესობა მიანიჭა მოწინააღმდეგეს. ამ ბრძოლაში მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ 9 თვითმფრინავი დაჰკარგა, იაპონელებმა კი 3 თვითმფრინავი დაჰკარგეს. საბოლოო ანგარიშში იაპონელთა თვითმფრინავები იძულებული გახდნენ საჩქაროდ დაეხიათ უკან თავიანთ ბაზებში. 22 ივნისს იაპონია-მანჯურიის ავიაციამ 120 თვითმფრინავის შემადგენლობით ახალი თავდასხმა მოაწყო. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაცია ბრძოლაში ჩაება 95 თვითმფრინავის შემადგენლობით. ამ ბრძოლაში ჩამოაგდეს იაპონია-მანჯურიის 31 თვითმფრინავი და მონღოლეთ-საბჭოთა 12 თვითმფრინავი. 24 ივნისს იაპონია-მანჯურიის ავიაციამ 60 თვითმფრინავის შემადგენლობით კვლავ მოაწყო თავდასხმა. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის მხრით ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე 60 თვითმფრინავმა და ჩამოაგდო იაპონია-მანჯურიის 25 თვითმფრინავი. ამ ბრძოლაში მონღოლეთ - საბჭოთა ავიაციამ მხოლოდ 2 თვითმფრინავი დაჰკარგა. 25 ივნისს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და მანჯოუ-გოს საზღვარზე არავითარი ინციდენტი არ არის აღნიშნული.

მონღოლეთ-საბჭოთა ჯარს უკავია ყველა პუნქტი მანჯურიის საზღვარზე მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთით. შეტაკებათა მთელი პერიოდის განმავლობაში მონღოლეთ-საბჭოთა ჯარს ერთხელაც არ დაურღვევია დადგენილი საზღვარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც მონღოლეთ-საბჭოთა ავიაცია, რომელიც იაპონია-მანჯურიის ავიაციას მისდევდა, იძულებული ხდებოდა გადაფრენილიყო მანჯურიის ტერიტორიაზე.

სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

ერევანი, 24 ივნისი (საკდესი). სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ერთხმად დაამტკიცა სომხეთის სს რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 442,621 ათასი მანეთის რაოდენობით, აგრეთვე სომხეთის სს რესპუბლიკის 1937 და 1938 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

სესიამ ერთხმად აირჩია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, სასამართლოს თავმჯდომარისა და სასამართლოს 19 წევრის შემადგენლობით.

სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულია სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. დალაქიანი. არჩეულ იქნა აგრეთვე 185 სახალხო მსაჯული.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების გამნიავებელთა სამართალში მიცემა

სსრ კავშირის პროკურატურამ დაამთავრა სრულიად-საკავშირო გეოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადგილობრივი კომიტეტის მიერ სოციალური დაზღვევის სახსრების განიავების საქმის გამოძიება. პასუხისგებაში მიცემული არიან სოციალური დაზღვევის საბჭოს თავმჯდომარე სოკოლოვი და მისი მოადგილე ჩულინი. მათ ჰბრალდებათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილების უხეშად დამახინჯება. სოციალური დაზღვევის ხაზით ისინი დახმარებას აძლევდნენ გადიდებული ოდენობით, მიუხედავად დაზღვეულთა მუშაობის სტაჟისა გეოლოგიურ ინსტიტუტში და ამგვარად სახელმწიფო სახსრებს ანიავებდნენ. მათ ინსტიტუტის მთელ რიგ მუშაკებს მისცეს დახმარება ავადმყოფობის გამო სრული ხელფასის ოდენობით, თუმცა კანონით მხოლოდ 50 პროცენტი ერგებოდათ.

სოკოლოვი და ჩულინი, რომელთაც დანაშაული მიუძღვით სოციალური დაზღვევის სახსრების განიავებაში, მიცემული არიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის მე-109 მუხლის მიხედვით. სოკოლოვისა და ჩულინის საქმე გასარჩევად გადაგზავნილია ქ. მოსკოვის მოსკვორეცკის რაიონის სახალხო სასამართლოში.

სსრ კავშირის პროკურატურის დავალებით სისხლის სამართლის საქმეები აღძრულია აგრეთვე ქ. ივანოვოსა და იაროსლავლში.

25 ივნისს ქალ. ივანოვოში დაიწყება ფაბრიკა „კრასნაია ტალკის“ ფაბკომის თავმჯდომარის სეკავინისა და ამ ფაბრიკის სოციალური დაზღვევის საბჭოს თავმჯდომარის მოლკოვას საქმის გარჩევა. მათაც ბრალი ედებათ სოციალური დაზღვევის სახსრების განიავებაში.

იაროსლავლის სალტეს ქარხნის მუშაკთა ანალოგიური საქმის გამოძიება გრძელდება. (საკდესი).

ყინულმჭრელი „ლიტკე“ ზღვაში გავიდა

ლენინგრადი, 23 ივნისი (საკდესი). დღეს ლენინგრადის სავაჭრო ნავსადგურიდან გამოსაცდელად ზღვაში გავიდა ყინულმჭრელი „ლიტკე“. გამოცდის დამთავრების შემდეგ „ლიტკე“ მურმანსკისაკენ წავა. ივლისის შუა რიცხვებში ყინულმჭრელი დიქსონის კუნძულს მიაღწევს და 1939 წლის არქტიკულ ნავიგაციას დაიწყებს. იგი ლაპტევის ზღვაში გაჰყვება კოლიმაში და ტიქსის ყურეში ტვირთით მიმავალ გემებს. „ლიტკეს“ ჰმართავს გამოცდილი პოლარელი კაპიტანი ორგზის ორდენოსანი ამხ. ხლებნიკოვი.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულება

ა.-წ. 16 ივნისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა სავაჭრო ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის.

ხელშეკრულება ემყარება თანასწორობისა და ურთიერთვალდებულების პრინციპებს.

ხელშეკრულება შეიცავს მუხლებს უმეტესი მფარველობის შესახებ, აწესრიგებს ვაჭრობის და ზღვაოსნობის საკითხებს და განსაზღვრავს სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის უფლებრივ მდგომარეობას ჩინეთის რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირის მხრით სავაჭრო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხანაგმა ა. ი. მიქოიანმა.

ჩინეთის მხრით — სპეციალურმა ელჩმა და ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის რწმუნებულმა დოქტორმა სუნ-ფომ.
(საკდესი).

საამქრო-გიგანტი

კრივოი როგი, 22 ივნისი (საკდესი). კრივოი როგის მეტალურგიულ ქარხანაში უკანასკნელი სამუშაოები სწარმოებს ბესემერის საამქროს პირველი რიგის ექსპლოატაციის დაწყების წინ. ეს საამქრო უდიდესია ევროპაში. იგი მესამე სტალინური ხუთწლედის პირმშოა. მას უკავია 20 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი და არსებითად წარმოადგენს ბესემერის ქარხანას 1800 ათასი ტონა ფოლადის წლიური ნაყოფიერებით (4 კონვერტერის მუშაობისას). საამქრო-გიგანტი აგებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ივლისის დამდეგს ამუშავდება პირველი რიგი, რომელიც ორი კონვერტერისაგან შესდგება. მათი სადღეღამისო ნაყოფიერება 2 ათას ტონა ფოლადს შეადგენს. სწარმოებს ცალკეულ აგრეგატთა გამოცდა და მათი მიღება მთავრობის კომისიის მიერ.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მშენებლობაზე

საუბარი სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორთან— აკადემიკოს ნ. ვ. ციცინთან

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნამდე თვეზე ცოტა მეტი დარჩა. სამშენებლო სამუშაო მთელ ტერიტორიაზე დასასრულს უახლოვდება. დაწყებულია ხარაჩოს ჩამოღება მთავარი შესასვლელისაგან. პავილიონებს ერთი მეორეზე ანთავისუფლებენ ხარაჩოსაგან.

პირდაპირ ყოველ საათობით იცვლება კოლმეურნეობათა ფართობის პანორამა. მიმდინარეობს მთავარი პავილიონის 40-მეტრიანი კოშკის მონტაჟი; ამ პავილიონს ცენტრალური ადგილი უკავია კოლმეურნეობათა მოედნის არქიტექტურულ ანსამბლში. აწყობენ სკულპტურულ ჯგუფს „კოლმეურნე და კოლმეურნე-ქალი“. ეს ჯგუფი—გამოფენის ემბლემა—აღმართული იქნება კოშკზე, რომელიც თავისებური კვარცხლბეკის როლს ასრულებს.

მექანიზაციის მოედნის ცენტრში დაწყებულია ამხანაგი სტალინის მონუმენტური ქანდაკების კვარცხლბეკის აგება.

გაჩაღებულია მუშაობა გასამწვანებლად. განაგრძობენ ყვავილების დარგვას. მიმდინარეობს სათბურებიდან სუბტროპიკული ფლორის წარმომადგენელთა გადარგვა.

გამოფენის ბაღები და ნათესები საუცხოო მდგომარეობაშია. შესანიშნავად გამოიყურებიან პავილიონ „მარცვალის“ საექსპონატო ნათესები. აქ დარგულია 285 ჯიშის მარცვლეული და პარკოსანი მცენარეები— საცდელი ნათესები ლისენკოსი, დერჟავინისა, ეფრემოვისა, ჩუმანოვისა, პოპენკოსი, სერგეევასი და სხვა მრავალთა. აკადემიკოს ლისენკოს მამას—დ. ნ. ლისენკოს წარმოდგენილი აქვს აქ საექსპონატოდ 3 ჯიშის „ყოფილი საშემოდგომო ხორბალი,“ რაც მის მიერ გადაქცეულია საგაზაფხულო ხორბლად.

საუცხოო მდგომარეობაშია ბრინჯის, თამბაქოს, სელის, კარტოფილის, ჭარხლის, ბამბისა და სხვ. პლანტაციები. მიჩურინისეული ჯიშების ხეხილმა ნაყოფი გამოიღო.

გამოფენაზე უკვე მიტანილია 25.000-ზე მეტი ექსპონატი. მათ შორისაა: საკოლმეურნეო შრომის ნაყოფი, ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ბეწვეული, საქონელი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნიდან უკვე მიზიდულია 150 ნიმუში სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

იწყება საექსპონატო ცხოველთა გადაყვანა კარანტინებიდან თავლებში, საღორეებსა და ბაკებში. გამოფენის წყალსატევებში ჩაუშვეს ცოცხალი თევზები, მათ შორის კალმახი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ სპეციალურ აკვარიუმებში იქნება გადაყვანილი.

მთავარი საგამოფენო კომიტეტი უკვე შეუდგა მზა პავილიონების მიღებას. მიღებულია პავილიონები: „ტაჯიკეთი“, „თათრეთი“, „აგროტყემელიორაცია“, „მეკურდღლეობა“, „მეფრინველეობა“, „ჰიდროსადგური“ და „ტორფი“.

მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა დაადგინა დააჯილდოოს შესრულებული სამუშაოს საუკეთესო ხარისხისათვის ტაჯიკეთის სსრ პავილიონის მთელი რიგი მუშაკები.

მშენებელთა და გამფორმებელთა არმია იბრძვის, რათა აანაზღაუროს დაკარგული ტემპები და უზრუნველჰყოს გამოფენის დროულად გახსნა. (საკდესი).

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხანამ (უფროსი — ორდენოსანი დ. ჭიჭინაძე, პარტბიუროს მდივანი ე. წამალაიძე) 25 ივნისისათვის შეასრულა ნახევარი წლის დავალება. ქარხანამ რემონტიდან გამოუშვა 165 ორთქლმავალი. მათ შორის კაპიტალური რემონტი გაიარა 41 ორთქლმავალმა, საშუალო—115, ხოლო მიმდინარე—9 ორთქლმავალმა.

ქარხნის ხუთიათასიანმა კოლექტივმა ვალდებულება აიღო ივნისის ბოლომდე სოციალისტურ ტრანსპორტს დამატებით მისცეს 13 ორთქლმავალი და წლიური გეგმა რემონტის მაღალი ხარისხის დაცვით შეასრულოს ნოემბერში.

სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის უფროსი ინსპექტორი
ი. ა. ტიტუშინი

უკანასკნელი ცნობები

გერმანია-თურქეთის ეკონომიური ურთიერთობის გაუარესება

ლონდონი, 25 ივნისი (საკდესი). თურქეთიდან მიღებული ცნობით, ამ უკანასკნელ ხანს გერმანია ცდილობს ამათუიმ სახით გავლენა მოახდინოს ანკარაზე, კერძოდ გამოიყენოს თავისი ეკონომიური ურთიერთობა თურქეთთან. ამის პასუხად, სწერს გაზეთი „ობსერვერი“, თურქეთმა გადასწყვიტა შეაჩეროს ლიცენზიები მარცვლეულის, ბამბის, მადნეულისა და ქვანახშირის ექსპორტზე გერმანიაში.

ჩინეთის სამხედრო საბჭოს წარმომადგენლის განცხადება

ჩუნცინი, 25 ივნისი (საკდესი). ჩინეთის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელმა ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „იაპონელთა მტკიცება, რომ თითქოს სვატოუს დაცემა სერიოზულ გავლენას მოახდენს საზღვარგარეთიდან სამხედრო საჭურველით ჩინეთის მომარაგებაზე, სრულიად უსაფუძვლოა, ვინაიდან სვატოუ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე მას იაპონელები დაიპყრობდნენ, მკვდარი ნავსადგური გახდა“. სვატოუში იაპონიის შეჭრის მთავარი მიზანია, განაგრძო სამხედრო საბჭოს წარმომადგენელმა, დაამთავროს ჩინეთის სანაპიროს ეკონომიური ბლოკადა და სავსებით ჩაუკეტოს ზღვისპირა რაიონები უცხოეთის ვაჭრობასა და უცხოეთის საწარმოებს.

ინგლისი და ესპანეთი

ლონდონი, 25 ივნისი (საკდესი). წერილობითს პასუხში კონსერვატორის — ლორდ რანკეილორის შეკითხვაზე ჰალიფაქსმა განაცხადა, „ინგლისის მთავრობას სურს ინგლის-ესპანეთის ვაჭრობის აღდგენა და ისწრაფვის, რომ დამაკმაყოფილებელ შეთანხმებას მიაღწიოს ესპანეთის მთავრობასთან მთელ რიგ პრობლემებზეო“.

○

ლონდონი, 25 ივნისი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, გიბრალტარის ყოფილი გუბერნატორი გენერალი აირონსაიდი, რომელიც ხვალ ინგლისს მიემგზავრება, ესპანეთზე გაივლის. არაოფიციალურ წრეებში ამბობენ, შესაძლებელია, მან გენერალი ფრანკო ინახულოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიოსანი შრომა კოლმეურნეობაში—შეძლებული ცხოვრების ძირითადი წყარო

შრომის დისციპლინა მტკიცდება

სოხუმი, (საკ. კორ.). პარტიისა და მთავრობის 27 მაისის გადაწყვეტილებას ფართოდ ეცნობიან აფხაზეთის კოლმეურნეები. ამის შედეგად განსაკუთრებით გაიზარდა კოლმეურნეობათა გამოსვლა სამუშაოზე. ოჩამჩირის რაიონის ბესლახუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ი. გოგია, ქ. ხუნძა, ტ. შაკაია, გ. კვეკვესკირი, შ. მანჟია და ა. შანავა დღემდე სამუშაოზე სრულებით არ გამოდიოდნენ, ახლა კი სისტემატურად გამოდიან.

ამავე რაიონის ტამიშის კოლმეურნეობა „კრასნი ტამიშის" წევრი ქ. ზანთარია კვირაში ოთხ დღეს აცდენდა, ხოლო ბ. ჯეჯელავა და დ. შარია სრულებით არ გამოდიოდნენ. ივნისიდან კი მათ შრომის წიგნაკებში აღინიშნა ახალი შრომა-დღეები. ახლა ისინი სამუშაოს აღარ აცდენენ. ასეთივე მდგომარეობაა სხვა კოლმეურნეობებშიაც.

გ. მერკვილაძე

ერთპიროვნული მეურნეები კოლმეურნეობებში შედიან

ბათუმი, (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების—„კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ"—განხილვის შემდეგ კოლმეურნეობანი შეუდგნენ მის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარებას.

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" მზადდება კადრები საკარმიდამო ნაკვეთების ასაზომად. 30 კოლმეურნე, რომლებსაც 27 მაისის დადგენილების განხილვამდე მხოლოდ 3-5 შრომადღე ჰქონდათ გამომუშავებული თვითეულს, ახლა სისტემატურად გამოდის სამუშაოდ. კოლმეურნეობის წევრები: მ. აბულაძე, ხ. გურგენიძე, ხ. აბუჩ ოღლი, მ. დიასამიძე, რომლებსაც არცერთი შრომადღე არ ჰქონდათ, ამჟამად სტახანოვურად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით უკანასკნელ დღეებში 17 ერთპიროვნულმა მეურნემ განცხადება შეიტანა კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" წევრად მიღების შესახებ. კოლმეურნეთა საერთო კრებამ განიხილა ეს განცხადებანი და ყველა 17 მეურნე კოლმეურნეობის წევრად მიიღო.

დამახინჯებებს ასწორებენ

ხობი, (საქდესი). ხობის რაიონის კოლმეურნეობანი პარტიისა და მთავრობის 27 მაისის დადგენილების საფუძველზე შეუდგნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯებათა გამოსწორებას.

კოლმეურნეობა „გლეხის შრომაში" ზოგიერთი წევრი — ი. კუკავა, ა. კეკია და სხვები — გარდა საკარმიდამო ნაკვეთებისა, თვითნებურად ამუშავებდა კოლმეურნეობის მიწებს. საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის შედეგად ხსენებულ პირთ ზედმეტი მიწები ჩამოერთვათ. ამავე კოლმეურნეობის წევრებს: ქ. წულეისკირს, მ. ქირიას, კ. ესართიას, კ. კუკავას და სხვ. 1939 წლის განმავლობაში არცერთი შრომადღე არა ჰქონდათ გამომუშავებული; ახლა ისინი სისტემატურად გამოდიან სამუშაოზე, ხოლო კოლმეურნე ქ. კუკავა სტახანოვურად მუშაობს და დღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებს.

ასევე შრომის მაღალ მაჩვენებლებს გვიჩვენებენ კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების" წევრები: მ. ქაქუთია, მ. ბერაია და მ. ჭიჭინაძე. წინათ კი ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ კოლმეურნეობის ცხოვრებაში.

კოლმეურნეობა „საკავშიროს" ყველაზე ძვირფას და უხვმოსავლიან ნაკვეთებს ამუშავებდნენ ერთპიროვნული მეურნეები: ე. სახურია, ი. ქებურია, ა. ასლანია, ა. ცხადაია და ი. ფულარია. ეს ნაკვეთები მათ ჩამოერთვათ და კოლმეურნეობას გადაეცა.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

ჩოხატაური. ჩოხატაურის რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა 22 რიცხვისათვის 101,3 პროცენტით შეასრულა. მაისივნისში უნდა მოკრეფილიყო 451.204 კილოგრამი ფოთოლი, მოკრეფილია 494.982 კილოგრამი. ორი თვის გეგმა შესრულებულია 109,7 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანი **ჩხიკვიშვილი**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე **უაჭეიშვილი.**

პარკის დამზადების გეგმა 101,8 პროცენტით შესრულდა

ლაგოდეხი, (ტელეფონით საკ. კორ.). 22 ივნისისათვის ლაგოდეხის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულა. 63.800 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 64.961 კილოგრამი.

დამზადება გრძელდება.

დ. ბატიაშვილი

ამხელენ ცრუკოლმეურნეებს

ზესტაფონი (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში ეცნობიან და სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 27 მაისის დადგენილებას „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ".

ცხრაწყაროს ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ქალთა შრომა ნაკლებად არის გამოყენებული. ისინი ნაკლებად მუშაობენ კოლმეურნეობაში. ამიტომ აქ იშვიათია ისეთი ქალი, რომელსაც წელს 30-ზე მეტი შრომადღე ჰქონდეს გამომუშავებული, ხოლო კოლმეურნე აკ. ნებიერიძეს საკოლმეურნეო ფართობში არცერთ დღეს არ უმუშავნია.

ცრუკოლმეურნეები მოიძებნებიან აგრეთვე ცხრაწყაროს 26 კომისრის სახელობის და კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობებში.

გარდა ამისა, ამავე სოფელში პ. ფუტკარაძეს, შ. ჩიხლაძეს და დ. გოცაძეს თვითეულს 1 ჰექტარზე მეტი საკარმიდამო ფართობი აქვთ, კვალითში ბ. ედიკაძეს კი — 3 ჰექტარი.

მოწინავენი ჩაის ფოთლის კრეფაში

ქუთაისი (ტელეფონით საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა. ნაცვლად 44.380 კილოგრამისა მოკრეფილია 45.583 კილოგრამი ანუ გეგმის 102,7 პროცენტი. ორი თვის გეგმა კი შესრულებულია 132,1 პროცენტით.

სეზონის დაწყებიდან 23 ივნისამდე მოკრეფილია 163.639 კილოგრამი ჩაი. აქედან პირველი ხარისხისა — 109.171 კილოგრამი.

მოწინავე კოლმეურნეობებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ჩაის კრეფაში. მაგალითად, სოფ. რიონის კოლმეურნეობა „წითელმა ვარსკვლავმა" 153 პროცენტით შეასრულა ივნისის გეგმა, სოფ. მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობამ — 182 პროცენტით, გვიშტიბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ — 115 პროცენტით, კოლმეურნეობა „ბოლშევიკმა" — 183 პროცენტით.

საგრძნობლად გაიზარდა მოწინავე მკრეფავთა რიცხვი. მათ შორის თინა გორჩაძე 160 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ გეგმას, ვერიჩკა ახალაძე — 180 პროცენტით, ტასია კუჭავა — 160 პროცენტით, აგრაფინა გეგენიძე — 145 პროცენტით.

საკოლმეურნეო ბრიგადებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება.

ე. გვასალია.

ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა შეასრულეს

მახარაძე, 25 ივნისი (საქდესი). ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე 8 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის ივნისის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 128 ათასი კილოგრამის ნაცვლად, მოკრეფილია 129 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 101,4 პროცენტს შეადგენს.

ცუღლუტები შორს კოლმეურნეობიდან

ბაღდათის რაიონის სოფელ დიმის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები დათიკო შალამბერიძე, ქ. ჩინჩალაძე, კ. მაჭავარიანი, ალექსანდრე ანიკიძე და დ. ცერცვაძე კოლმეურნეობაში არ მუშაობენ. მათ წელს კოლმეურნეობაში არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ, მაშინ როდესაც კოლმეურნეებს თ. შალამბერიძეს, მ. შალამბერიძეს, გ. ხიზანეიშვილს, მარიამ სახტარაძეს და სხვ. 125—165 შრომადღეზე მეტი აქვთ გამომუშავებული.

პარტიისა და მთავრობის 27 მაისის დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით კოლმეურნეები მოითხოვენ უქნარების და ცუღლუტების წინააღმდეგ შესაფერი ზომების მიღებას.

გრ. ქადაგიძე

შრომის დისციპლინა დაბალია

ზუგდიდი. სოფ. გრიგოლიშის კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა დაბალ საფეხურზე დგას. 50 კოლმეურნეს მიმდინარე წელს არცერთი შრომა-დღე არ გამოუმუშავებია, 20 კოლმეურნეს კი გამომუშავებული აქვს 15 შრომა-დღე და კიდევ უფრო ნაკლები. ისინი მეტ დროს საკარმიდამო მეურნეობაში მუშაობენ, კოლმეურნეობას კი თავს არიდებენ.

შრომის დისციპლინის დაცემა ცუდ გავლენას ახდენს გეგმის შესრულებაზე. მარტო მაისში აქ 28 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლიდან 10 ათასი კილოგრამი მეორე ხარისხისა იყო. ეს იმიტომ, რომ ფოთოლი დროზე არ მოიკრიფა და გადაუხეშდა. მდგომარეობა დიდად არც ივნისში გამოსწორებულა.

მართალია, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილების გაცნობის შემდეგ აქ ერთგვარი გარდატეხა მოხდა, მაგრამ ცუღლუტების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ მაინც ვერ არის სათანადოდ გაშლილი.

შ. ხუნდაძე

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია

ყვარელი, 25 ივნისი. ყვარლის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. უნდა დამზადებულიყო 693 ცენტნერი, დამზადებულია 695 ცენტნერი. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

ყვარლის „რაიაბრეშუმის" გამგე **ლასხიშვილი.**

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსმა თ. დოლიძემ, რომელიც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად არის წარდგენილი, შარშან ჰექტარზე თავის ბრიგადაში საშუალოდ 3.040 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო.
სურათზე: **თ. დოლიძე** (მარჯვნით) ამოწმებს მოკრეფილი ფოთლის ხარისხს.

სასწავლო წელი წარმატებით დამთავრდა

პიონერთა კლუბში ჩატარდა ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია, მიძღვნილი სასწავლო წლის დამთავრებისადმი.

კონფერენციამ მოისმინა ორჯონიკიძის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ა. მაჭარაშვილის მოხსენება 1938/39 სასწავლო წლის შედეგებისა და მომავალი სასწავლო წლის ამოცანების შესახებ.

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ რაიონის სკოლებმა საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

კონფერენციაზე აგრეთვე გამოირკვა, რომ განვლილ სასწავლო წელს თვალსაჩინოდ განმტკიცდა მოწაფეთა შორის შეგნებული დისციპლინა. მაგრამ მიღწევებთან ერთად არის ნაკლოვანებებიც. ზოგიერთ სკოლაში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა შორის უხეშობის გამოვლინებას. მაგალითად, მე-78 საშუალო სკოლის მე-9 კლასის ერთერთმა მოწაფემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებელს. მსგავს შემთხვევებს ჰქონდა ადგილი მე-96, მე-42 და მე-59 სკოლებში. ყველაფერი ეს ნათლად ადასტურებს, რომ ჯერჯერობით აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მოისუსტებს.

განვლილი სასწავლო წლის მანძილზე რაიონის სკოლებში გარკვეული მიღწევებია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1-ლი, მე-55, მე-56, მე-9 და მე-8 საშუალო სკოლების სანიმუშო მუშაობა. რაიონის სკოლებში მასწავლებელთა [illegible] ნაწილი პედაგოგიურ ოსტატობას კარგად არის დაუფლებული. მათ მეტად მდიდარ გამოცდილებას განათლების ორგანოები, სამწუხაროდ, რიგიანად არ სწავლობენ და არ აცხობენ პედაგოგთა მასებს. კონფერენციამ აღნიშნა, რომ გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი", რატომღაც ძალიან იშვიათად უთმობს ადგილს მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების ჩვენებას.

გამოირკვა ისიც, რომ მეთოდური მუშაობის ხაზით სკოლებში სერიოზული გარდატეხა მოხდა. რაიონის სკოლებში აღდგენილია თავის უფლებებში მავნებლების მიერ სკოლიდან გაძევებული მეთოდ-კომისიები.

შემოწმებითი გამოცდებმა გამოავლინა როგორც მოწინავე მასწავლებლები, ისე მოსწავლეებიც. რაიონის მთელ რიგ სკოლებში ძირითადი დისციპლინების სწავლების საქმეში საგრძნობი წარმატებებია მიღწეული.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. მ. წერეთელი.

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ეთერ მაზანაშვილმა. ამხ. ე. მაზანაშვილის სიტყვის შემდეგ წაკითხულ იქნა რაისაბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებული სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა სია.

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების დადგენილებით საქალაქო გარდამავალი დროშა გადაეცა მე-7 მოზრდილთა სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

პროცენტომანიის წინააღმდეგ

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია ორი საათის დაგვიანებით დაიწყო. კონფერენციისათვის ძალიან ვიწრო დარბაზი შეურჩიათ. ამიტომ კონფერენციაზე გამოცხადებულ მასწავლებელთა ნახევარმაც ვერ მოისმინა განათლების განყოფილების გამგის ამხ. ბ. ბარამიძის მოხსენება, სადაც წარმოდგენილი იყო განვლილი 1938/39 სასწავლო წელს რაიონის სკოლების წარმატებებისა და ნაკლოვანებათა მაჩვენებლები.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა გააკრიტიკეს სახალხო განათლების ორგანოებში დღემდის გამეფებული ე. წ. პროცენტომანია, რომლის მეოხებითაც სკოლისა და მასწავლებლის მუშაობას აფასებდნენ მხოლოდ ნაკრები ცნობებით, ყურადღებას არ აქცევდნენ პედაგოგის დახელოვნებას. პროცენტებს გამოდევნებული მუშაკები მხედველობიდან უშვებდნენ სკოლის მუშაობის არსებით მხარეს და ყურადღებას აქცევდნენ უმთავრესად ციფრებს, პროცენტებს, რომელთა მეოხებით გარეგნულად იქმნებოდა ისეთი სურათი, თითქოს სკოლაში ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. ჩვენი ქვეყნის მოწინავე მასწავლებელთა არმიის მიერ უკვე დაგმობილი პროცენტომანია ფართო შესაძლებლობას აძლევდა ზოგიერთ ცუღლუტსა და უქნარას მოწაფეთა ცოდნის ლიბერალური შეფასებით, ნიშნების ხელოვნურად გაბერვით შეექმნა მოჩვენებითი კეთილდღეობის ყალბი განწყობილება და ამით სახელმწიფო მოეტყუებინა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულებმა (ე. ისპანდიაროვა, გ. მაღლიანი და სხვ.) ჩამოსთვალეს მრავალი მოწინავე პედაგოგი, რომლებმაც ენერგიული მუშაობით, პოლიტიკურ-პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებით მოწაფეთა სწავლებასა და აღზრდაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს, მაგრამ არავის კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, თუ როგორ აღწევენ მოწინავენი წარმატებას, სად უნდა ვეძიოთ მათ წარმატებათა „საიდუმლოება".

დაგვიანებით დაიწყო

(გურჯაანი, ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

გურჯაანის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კონფერენცია, რომელიც ახლახან შესდგა, ძალიან უფერულად ჩატარდა. კონფერენციას, ნაცვლად 577 მასწავლებლისა, დაესწრო მხოლოდ 257.

მასწავლებელთა კონფერენციამ, რომელიც 3 საათის დაგვიანებით დაიწყო, მოისმინა გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ბლ. ფეიქრიშვილის მოხსენება გასული სასწავლო წლის შედეგებისა და მომავალი სასწავლო წლის მზადების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ მოხსენება არ იყო თვითკრიტიკული. მომხსენებელმა არ ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რაიონის მთელი რიგი სკოლების მუშაობაში. მაგალითად, სოფ. ველისციხისა და შაშიანის სკოლებში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა ხულიგნურ მოქმედებებს, რაც მოხსენებაში მიჩქმალულ იქნა.

გერონტი ქიქოძე

იოანე ბატონიშვილი

(გარდაცვალებიდან ასი წლისთავის გამო)

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ზღურბლზე სდგას ადამიანი, რომელიც შეიძლება სრულიადაც მწერალი არ გამხდარიყო, თუ ბედს მისთვის უფრო ფართო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი არ წაერთმია. ერთერთა ყველაზე ვაჟკაცური იარაღის—ხმლის გაცვლა ბატის ფრთის კალამზე თავისთავად ადვილი არ უნდა ყოფილიყო ბაგრატიონის გვარის უფლისწულისათვის, რომლის წინაპრები საქართველოს სამეფოს მეთაურობდნენ როგორც მისი ძლიერების და აყვავების, ისე ტრაგიკული განსაცდელის ეპოქებში. მაგრამ, როგორც ეტყობა, იოანე ბატონიშვილი არ ყოფილა პატივმოყვარეობით შეპყრობილი ადამიანი. თუმცა როგორც მამა მისი — გიორგი მეფე, ისე მიუკერძოებელი უცხოელი დესპანები მას ყველაზე უფრო კეთილგონიერად და განათლებულად სთვლიდნენ ქართველ უფლისწულთა შორის, თვითონ ის მზად იყო საქართველოს სამეფო ტახტი ყველა პრეტენდენტზე გვიან მიეღო, რაიცა ადვილი საქმე არ იყო, ვინაიდან მას თექვსმეტი დაძმა და თოთხმეტი ბიძა და მამიდა ჰყავდა: ისინი კი ყველანი სამეფო ტახტზე დაჯდომას ოცნებობდნენ.

იოანე ბატონიშვილი 1772 წელს დაიბადა, ის ხუთი წლით უმცროსი იყო ტახტის მემკვიდრე დავითზე. როგორც ცნობილია, დავით ბატონიშვილი ევროპულად განათლებული კაცი იყო, მისი მასწავლებლები დავით რექტორს გარდა, რომელსაც იგი თავის ლალას უწოდებს, ავსტრიელი მეცნიერი გეტინგი, საქსონელი მეცნიერი, პოტიომკინის პოლიტიკური აგენტი რეინეგსი და იტალიელი მისიონერები იყვნენ. თავისი საარტილერიო განათლება, რომელიც მან რუსეთში მიიღო, მან გამოიყენა იმ ბრძოლებში, რომელსაც საქართველო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში ირანელებისა და ლეკების წინააღმდეგ აწარმოებდა. მაგრამ 1803 წელს ის სამშობლოდან პეტერბურგში გადაასახლეს და ისიც თავის უმცროს ძმასავით იძულებული გახდა ბრწყინვალე სახელმწიფოებრივი და სამხედრო სარბიელი დაეთმო უმადური ლიტერატურული სარბიელის გულისათვის.

რა დაკმაყოფილება შეეძლო მიეცა ისეთი აქტიური ბუნების და ფართო გონების ადამიანისთვის, როგორიც დავით ბატონიშვილი სჩანს, ლიტერატურულ მოღვაწეობას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში? მან ქართულად გადმოთარგმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი ესთეტიკის, სამხედრო ხელოვნების, გეოგრაფიის, ისტორიის და სხვა მეცნიერებათა დარგიდან; ამ თარგმანთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მონტესქიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულისა". როგორც ცნობილია, მონტესქიე კონსტიტუციური მონარქიის იდეოლოგი იყო. მან შექმნა და განავითარა მოძღვრება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო ხელისუფლების გათიშვის შესახებ. ის იცავდა სამოქალაქო თავისუფლების, სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის იდეას. ვოლტერისა, დიდროსა და რუსოს გვერდით მონტესქიე უდიდეს მოაზროვნედ და მწერლად ითვლება მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში, მან მათთან ერთად ხელი შეუწყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეურ მომზადებას. და დიდად ნიშანდობლივია, რომ ქართველმა ბატონიშვილმა, სამშობლოდან გაძევებულმა ტახტის მემკვიდრემ მოწინავე ევროპული პოლიტიკური აზროვნების ძეგლი გადმოიღო, რათა ის თავისი თანამემამულეებისათვის გაეცნო.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ დავით ბატონიშვილს არ შეეძლო თავისი საყვარელი იდეები პოპულარული გაეხადა საქართველოში. ტიპოგრაფიული ბაზის უქონლობის გამო მას არ შეეძლო თავისი ხელნაწერები გამოექვეყნებინა. მათი მკითხველები, უკეთეს შემთხვევაში, მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ეს უკანასკნელნი კი საერთოდ ბევრად უფრო კონსერვატიულად აზროვნებდნენ, ვიდრე „გონებამკვირცხლი და ევროპული განათლებისადმი მიდრეკილი უფლისწული", რომელსაც ჯერ კიდევ თბილისში ყოფნის დროს სასაცილოდ მიაჩნდა თავისი მამის—გიორგი მეფის დაუსრულებელი ლიტანიები და რომელსაც ოთახში ხატის მაგივრად ვოლტერის პორტრეტი ეკიდა.

დავით ბატონიშვილის ორიგინალურ ნაწერებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი „ნამდვილი ისტორია", ანუ „მოთხრობა ახალი", სადაც ის „ქართლის ცხოვრებისად" საქართველოს ისტორიას გვიამბობს 1744 წლიდან თავის გარდაცვლის წლამდე (ე. ი. 1819 წლამდე). ავტორი ამ პატარა წიგნში იჩენს ფხიზელ მეცნიერულ ალღოს, ზომიერების გრძნობას, ის მოკლებული არაა არც პირუთვნელი ისტორიკოსის ზნეობრივ პათოსს. საერთოდ ის საუკეთესო მასალას იძლევა ამ გარდამავალი ეპოქის გასაცნობად. *)

დავით ბატონიშვილის მეორე მნიშვნელოვანი ორიგინალური ნაწარმოები არის მისი პატარა რომანი, მიწერ-მოწერის ფორმით დაწერილი, რომელიც „ახალი შიხის" სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მაღალფარდოვანი, ბნელი სტილით დაწერილი რომანი ისე განსხვავდება მარტივი, ნათელი ენით დაწერილი „ნამდვილი ისტორიისაგან", რომ მკითხველს ისინი ორი სხვადასხვა ავტორის ნაწარმოები ეგონება. „ახალი შიხი", როგორც ეტყობა ავტორის თანამონაწილეობით, რუსულადაც გადაითარგმნა ვინმე სერგეი მიტროპოლსკის მიერ და პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში დაიბეჭდა 1804 წელს. ეს დავით ბატონიშვილის ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც მის სიცოცხლეში გამოქვეყნდა. სხვათა შორის შეიძლება ამ გარემოებითაც აიხსნებოდეს ის ბურუსი, რომელშიც ეს პატარა რომანია გახვეული: სხვაფრივ ასეთი ტენდენციის წიგნის დაბეჭდვა იეზუიტურად ორპირი ალექსანდრე პირველის მეფობაში ძნელი იქნებოდა.

„ახალი შიხის" რუსულ თარგმანს წარმძღვარებული აქვს პატარა შესავალი, რომელიც ვითომ მისი შინაარსის მოკლე გადმოცემას წარმოადგენს. ჯერ განმარტებულია, რომ შიხი (იგივე შეიხი) სასულიერო წოდების მეთაურს ნიშნავს ალის სექტის მაჰმადიანებში. შემდეგ მოთხრობილია, რომ „სახელოვანი სპარსელი შიხი სანანი სპარსეთიდან საქართველოში მოვიდა და შეიყვარა ერთი გლეხი ქალი, სახელად ფერია. ალგზნებულმა სიყვარულმა ის აიძულა ამ ქალის ხელი ეთხოვა. მაგრამ ფერიამ უპასუხა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავხდები შენი ცოლი თუ ღვინოს დალევო. რადგან მაჰმადიანებს, მით უმეტეს შეიხებსა და მოლებს, ამ სასმელის დალევა აკრძალული აქვთ, შიხი სანანი ქალს განშორდა; მაგრამ ის ჩქარა სინანულს მიეცა ამის გამო და დაიწყო წერილების წერა ქალისადმი. ფერიამაც ამ წერილების წაკითხვის შემდეგ სინანული იგრძნო, რაიცა აღიარა თავის წერილებში სანანისადმი".

ამ წინასიტყვაობას არავითარი კავშირი არ აქვს „ახალი შიხის" შინაარსთან. ის მხოლოდ მის, ასე ვთქვათ, პოლიტიკური კეთილსაიმედობის მოწმობას წარმოადგენს. ნამდვილად კი გამიჯნურებული ქალვაჟის წერილებში არავითარ რელიგიურ დაბრკოლებაზე ლაპარაკი არ არის და, საერთოდ, ქრისტიანობა და მაჰმადიანობა იქ ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები. კიდევ მეტს ვიტყვით: ამ რომანში ქრისტიანული და მაჰმადიანური პოეზიის დამახასიათებელი იდეები და სახეებიც არ არის გამოყენებული. ნამდვილად სანანი და ფერია აღიარებენ „ბუნებითს სჯულს", ე. ი. მეთვრამეტე საუკუნის გამანათლებელი ფილოსოფოსების, ვოლტერის და რუსოს დეისტურ რელიგიას. ეს რელიგია კი არ სცნობდა არც ალაჰს, არც ქრისტეს, არც სამებას, ის ყოველ ისტორიულ კონფესიას, მათ შორის მაჰმადიანობასა და ქრისტიანობასაც უარყოფდა; უარყოფდა აგრეთვე პიროვნულ ღმერთს, გამოცხადებას და განგებას, ის მხოლოდ გონებას აღიარებდა ჭეშმარიტი სარწმუნოების წყაროდ; დეიზმი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა პანთეიზმისა და ათეიზმისკენ. თვით სალი მორალიც „ახალი შიხის" მიხედვით, ბუნების სწორ შემეცნებასა, მის ბრძანებათა ერთგულ ასრულებაზეა დამყარებული.

დავით ბატონიშვილი კარგად იცნობს კლასიკურ მითოლოგიას; ის იყენებს მთელს მის ინვენტარს, კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეს, ოქროს წვიმად ქცეულ იუპიტერს, ელისეს მინდვრებს, აქერონს, ციკლოპებს, გორგონას და სხვ. როგორც ეტყობა, ის იცნობს აგრეთვე სპარსულ „შაჰნამესა" და „ლეილმეჯნუნიანს", აგრეთვე ევროპული და რუსული სანტიმენტალური სკოლის მწერლებს, რიჩარდსონს, რუსოს, კარამზინს, რომელთა ნაწერების ფორმას გავლენა მოუხდენია მის რომანზე. მისი მიჯნურნი ცდილობენ მეტისმეტად ანთებული ვნების ენით ილაპარაკონ. მაგრამ რადგან „ახალ შიხში" არც რაიმე სუჟეტურად გაშლილი ამბავია მოთხრობილი, არც კონკრეტული ადამიანები და არც საზოგადოებრივი გარემოა ასახული, რადგან ის მხოლოდ მწიგნობრულ ვარჯიშობას წარმოადგენს, ევროპული და რუსული ნიმუშების მიხედვით დაწერილს, მხატვრულად ის მეტისმეტად მკრთალ შთაბეჭდილებას ახდენს. რეალური განცდის სითბო აქვს მხოლოდ იმ ადგილს, სადაც დავით ბატონიშვილი სანანის პირით თითქოს თავის ბედს უჩივის: „ვგონებ უსაცოდავესი ჩემისა პირსა ზედა ყოვლისა ქვეყნისასა არა სადა იპოებოდეს; მდევნა ბოროტ შემთხვეულობითა, ივარ მყო მამულისაგან ღირსებითა და ქონებითა; კეთილობა ჩემი წაამწარა და აწ უკანასკნელი სრულჰყო სიწადილი თვისი, რომელ მოყვარისა ჩემისაგან უცხო მჰყო". მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ „ახალი შიხი" მხატვრულად სუსტი ნაწარმოებია, ის მაინც მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლად უნდა ჩაითვალოს, როგორც ევროპული მოწინავე აზროვნების ერთერთი პირველი გამოვლინება ქართულ მწერლობაში.

იოანე ბატონიშვილი უფრო ზომიერი, მეტი სულიერი წონასწორობით აღჭურვილი ადამიანი სჩანს, ვიდრე მისი უფროსი ძმა იყო. თავისი დროის საზომით ის ძალიან განათლებული კაცია. „მეფის ძემან იოანემ განიმარტა ფილოსოფია ძველი ათინელთა და ახალი გერმანიისა", ამბობს მის შესახებ იონა ხელაშვილი. ახალგაზრდობაში ის ქედფიცხელ და ნიჭიერ სარდლად ითვლებოდა და ერეკლე მეფისა და გიორგი მეფის დავალებით რამდენიმე სამხედრო ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით სახელი გაითქვა ნიახურის ბრძოლაში, სადაც ლეკების ბელადი ომარ ხანი დაამარცხა, ხოლო იმაზე ადრე კრწანისის ველზე, სადაც თავისი ვაჟკაცური მხნეობით დატყვევებას გადაარჩინა თავისი მოხუცი პაპა: „მაშინ მოეახლდნენ სპარსნი, სადაცა იგი იყოფოდა მეფე და მომართეს აღმატებულითა ძლიერებითა და კნინღა მოჰკლიდეს მეფესა ანუ შეიპყრობდეს, უკეთუ შვილიშვილი ამა მეფის იოანე არა იყომცა მუნ. ეკვეთა მეფის ძე იოანე მახლობელ პაპის მისისა მოსულთა სპარსთა და უკუაქცივა და განარინა ხელთაგან მათთა მეფე" (თეიმურაზ ბატონიშვილის მემუარები).

1799 წელს იოანე ბატონიშვილმა შეადგინა ფართო სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, რომელიც შემდეგი მიმართვით იწყებოდა: „უმაღლესო და უმოწყალესო ხელმწიფევ და მამავ, მეფეო სრულიად საქართველოისაო და სხვათა, გიორგი, უქვეშევრდომილესი ჩემ მიერ წინადადებანი". ეს რეფორმები ვერ განხორციელდა გიორგი მეფის სიკვდილისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის გამო. მაგრამ თუ ისინი იმ მასშტაბით განხორციელებულიყვნენ, როგორც იოანე ბატონიშვილს და მის თანამგრძნობ პროგრესისტ მოღვაწეებს ჰქონდათ განზრახული, ჩვენი სამშობლოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში რადიკალური გარდატეხა მოხდებოდა.

იოანე ბატონიშვილის პროექტი, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო საქმის რეორგანიზაციას ითვალისწინებს. ის განსაკუთრებული პირობებისათვის უცვლელად სტოვებს საყოველთაო სამხედრო მობილიზაციის ძველს წესს, ქუდზე კაცის გაყვანას, მაგრამ მოითხოვს მუდმივი ჯარის შექმნას რუსეთის და ევროპის მაგალითის მიხედვით. „ათმან კომლმან მოსცეს ერთი კაცი ხუთს წელიწადს. დღეში რომ ორი შაური მისცენ შავი პურის მაგიერ, ის უმჯობესი იქნება, რომ იქს წელიწადში სამ თუმანს, ექვს მინალთუნს და ათს შაურს. ეს კარგად ეყოფა საჭმელად ერთს კაცს პურისა და შესატანებლისათვის". მაგრამ იოანე ბატონიშვილს კარგად ესმის, რომ რა მილიტარული ორგანიზაციაც უნდა შექმნას საქართველომ, მას არ შეეძლება აგრესიული პოლიტიკის წარმოება: ამიტომ ის მეფეს ურჩევს ფრთხილი დიპლომატიური გზის გამოყენებას, განსაკუთრებით ძლიერი მეზობლების მიმართ.

ადმინისტრაციის რეფორმა ამ პროექტით მის გამარტივებას და გაიაფებას გულისხმობდა. იქმნებოდა ერთი მწყობრი სამმართველო აპარატი უწყების უფროსისა, ე. ი. მინისტრიდან დაწყებული ადგილობრივ მოურავებსა, მამასახლისებსა და გზირებამდე. მოხელეებს ჯამაგირი შერეული წესით ეძლეოდა, ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ ნატურით. ჯამაგირი ეძლეოდა აგრეთვე მეფესა, დედოფალსა და უფლისწულებსაც, მაგრამ მათ მამულის შემოსავალიც რჩებოდათ.

ამ ადმინისტრაციაში ახალ და განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენას წარმოადგენენ „განათლების მოხელე", რომელსაც სკოლებისა და სტამბების საქმე ექვემდებარება და, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, უზრუნველყოფის კომისარი, რომელიც განაგებს არა მარტო დავრდომილთა და ქვრივოხერთა საქმეს, არამედ ალიმენტების და მეუღლის მოშლის საკითხსაც აწესრიგებს: „აგრეთვე ნაბიჭვართა ვინც შობდენ, ნუ ექმნებიან დედანი ობ.სუ-

---

*) გაგრძელება, რომელიც დავით ბატონიშვილის ქრონიკისთვის მის ძმას ბაგრატს დაურთავს, ბევრად უფრო მდარე ღირებულებისაა. ეს წიგნი პირველად გამოვიდა თბილისში, 1905 წ. მ. ჯანაშვილის რედაქციით.

პარტიული ცხოვრება

რაიონული პარტიული აქტივის კრებები

ტყიბული

22 ივნისს ტყიბულის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის თეატრში ჩატარდა ტყიბულის რაიონის პარტიული აქტივის კრება. ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ზაიდაშვილი.

ზაიდაშვილის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13 ამხანაგმა. მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტები. მაგალითად მოქ. ივანე ქათამაძე დიდი ხანია რაც ქუთაისში მსახურობს, ხოლო სოფელ ნაბოსავის კოლმეურნეობაში საკარმიდამო ნაკვეთი აქვს, რომელსაც დაქირავებული შრომით ამუშავებს.

გურნის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს დავით ყუბლაშვილს მოჰყავს კომლთა ფორმალური გაყოფის ფაქტი: წელს საბჭოში გაყოფის შესახებ შემოვიდა 33 განცხადება რომელთაგანაც ერთის გარდა ყველა ფიქტიური იყო.

ამხანაგებმა აღნიშნეს ის უდიდესი ენტუზიაზმი, რომელიც პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ გამოიწვია კოლმეურნეთა შორის, გაიზარდა მუშა-ხელის გამოსვლა სამუშაოზე, რის შედეგად კოლმეურნეობებში გადიდდა შრომის ნაყოფიერება.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა მაისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის. (საქდესი).

სიღნაღი

23 ივნისს სიღნაღის საკოლმეურნეო თეატრში ჩატარდა რაიონის პარტაქტივის კრება. დაესწრო 300 კაცამდე. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ზ. ყურაშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა. მომხსენებელმა და მოკამათეებმა მოიყვანეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯებისა და საკოლმეურნეო მიწების განიავების ფაქტები. სოფელ ანაგის კოლმეურნეობის გამგეობამ ჰექტარ ნახევარი საკოლმეურნეო მიწა გადასცა კოლმეურნეობის აგროტექნიკს მაზანაშვილს.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

აქტივმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. (საქდესი).

დუშეთი

(ტელეფონით საქ. კორესპონდენტისაგან)

23 ივნისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიონის პარტაქტივის კრება. კრებაზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მიხანაშვილი. მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა.

მოკამათენი მიღწევებთან ერთად აღნიშნავდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯებისა და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავების კონკრეტულ ფაქტებს.

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ერთსულოვნად მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა სათანადო ღონისძიებანი პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ა. თომაძე

წულუკიძე

(საქ. კორესპონდენტისაგან)

22 ივნისს ჩატარდა წულუკიძის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის შედეგები.

აღნიშნულ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი ამხ. დავითაია.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20-მდე ამხანაგმა. მოკამათენი ერთსულოვნად იწონებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მათ მოიყვანეს რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯებათა მრავალი ფაქტი და მკაცრად გააკრიტიკეს სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაობა.

პლენუმმა დასახა ღონისძიებანი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ტ. ჩიქოვანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

დომენტი ნიკოლოზის-ძე **თვალოძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1937 წლიდან, პარტბილეთი № 2840019—ანტიპარტიული ყოფაქცევისათვის.

ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე **ჭყოიძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1535122—ყალბი საბუთების შედგენისათვის.

ვარლამ ნიკოლოზის-ძე **ცაგარეიშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1538219—ხულიგნობისათვის.

მიხეილ ამირანის-ძე **ჭელიძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1921 წლიდან, პარტბილეთი № 1523325—თავისი წარსულის დაფარვისათვის.

დურსუნ ახმედის-ძე **ბერიძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 2856032 — სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

მტკიცე ხელმძღვანელობა პარტიის რიგების ზრდას

კასპის რაიონის პირველადმა ორგანიზაციებმა ახალი წესდების საფუძველზე ფართოდ გაშალეს მუშაობა პარტიის რიგებში მოწინავე მუშების, გლეხების და ინტელიგენტების მისაღებად.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ კასპის რაიონის პირველადმა პარტორგანიზაციებმა პარტიაში მიიღეს 150-მდე კაცი. მათგან უმრავლესობა ლენინური კომკავშირის მიერ გაზრდილი ახალგაზრდობაა.

პარტიაში შევიდა საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე სტახანოველი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი ამხ. მარიამ ჩადუნელი. პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია რაიმიწგანის აგრონომი ამხ. ი. ბაკურაძე. მისი სამუშაო ზონიდან მევენახეობის 7 კოლმეურნეობა წარდგენილია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატებად. თვით ამხანაგი ბაკურაძეც გამოფენის კანდიდატია.

კასპის მტს-ის პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო მოწინავე ტრაქტორისტები ამხ. გ. გოდერძიშვილი და ზ. მამულაშვილი. მათგან პირველმა საგაზაფხულო სამუშაოების გეგმა 360 პროცენტით შეასრულა და მიაღწია 1.077 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომიას, მეორემ გააკეთა 1880 კილოგრამი საწვავის ეკონომია და საგაზაფხულო სამუშაოების გეგმა 163 პროცენტით შეასრულა.

პარტიაში შევიდნენ რაიონის მოწინავე ინტელიგენტები: ნინა მონინა—ცემენტის ქარხნის ინჟინერი, ნ. ბაკურია—პედ. ტექნიკუმის დირექტორი, თ. მაღლაფერიძე—კასპის საშუალო სკოლის მე-10 კლასის ფრიადოსანი მოწაფე და სხვ.

რაიონულ კომიტეტს კარგად აქვს შეგნებული ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება მას პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეში. ახალი წესდებით, როგორც ვიცით, რაიონული კომიტეტები, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც რაიონული დაყოფა არ არის, საქალაქო კომიტეტები, წარმოადგენენ უკანასკნელ ინსტანციას, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს პარტიაში ახალ წევრთა მიღებას. რაიონული კომიტეტი უდიდესი ყურადღებით იხილავს პარტიაში მისაღებთა საქმეებს, მტკიცედ იცავს ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს.

რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია გაიტაცა ორგანიზაციის რაოდენობრივმა ზრდამ —მათ დაივიწყეს მთავარი — პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევა. მაგალითად, რაიაღმასკომთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ სათანადო შემოწმების გარეშე პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო შ. ხატისკაცი, რომელმაც დამალა თავისი სოციალური წარმოშობა; იგი ანკეტაში უჩვენებდა, რომ ღარიბი გლეხის შვილია, შემოწმებით კი გამოირკვა, რომ მამამისი კულაკი იყო. მსგავსი ფაქტი განმეორდა ცემენტის ქარხნის პირველადს ორგანიზაციაში, რაიკომის ბიურომ გამოასწორა ეს შეცდომები.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიონული ორგანიზაცია დღითიდღე ზრდის თავის რიგებს. ამ მოკლე დროში ჩამოყალიბდა 2 ახალი პირველადი პარტორგანიზაცია: სოფ. გომისჯვრის კოლმეურნეობასთან და რაიონის სამხედრო კომისარიატთან.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიონული ორგანიზაცია მთელი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით იმუშავებს იმისათვის, რომ პარტიაში მიღებულ იქნან მხოლოდდამხოლოდ შემოწმებული და მოწინავე ადამიანები.

ა. მიტროფაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი.

საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

(სტალინირი, ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან)

22-23 ივნისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" და „1939 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ". პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის მდივანი ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი და მეორე საკითხზე—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ვ. ხუბაევი.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც 20-ზე მეტმა ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა.

პლენუმმა ორივე საკითხის გარშემო მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

კ. ტრაპაიძე

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის პლენუმი

(საქ. კორესპონდენტისაგან)

22 ივნისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი: 1) „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" (მომხსენებელი — ამხ. ა. ცხოვრებოვი) და 2) „1939 წლის მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ" (მომხსენებელი—ამხ. ვ. თიბილოვი).

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარებისათვის.

თბილისი. კალინინის სახელობის ქარხანა. სურათზე: პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი კ. ერაძე (მეორე მარცხნიდან) ესაუბრება პარტიის წევრობის კანდიდატებს პარტიის ახალ წესდებაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება

საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფე ამხანაგი **ლ. ბერია** თავის საანგარიშო მოხსენებაში შეეხო საქართველოს მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის საკითხს და სთქვა: „უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი სუსტად მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პროფესორებსა და დოცენტებს შორის ჯერ კიდევ ფრიად მცირეა იმათი პროცენტი, ვისაც დაცული აქვს დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხზე"...

ამხანაგ ლ. ბერიას მიერ ამ გარემოებაზე მითითების შემდეგ საქართველოს მეცნიერ მუშაკთა შორის ფართოდ გაიშალა მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ასე, მაგალითად, თუ ორი წლის წინათ საქ. სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტს ჰყავდა 156 პროფესორი, დოცენტი და მასწავლებელი აქედან მხოლოდ 7 იყო მეცნიერული ხარისხით, ამჟამად საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივში მეცნიერებათა დოქტორია 7 და მეცნიერებათა კანდიდატი 51.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის დამთავრებამდე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივს კიდევ შეემატება 10 ამხანაგი, რომლებსაც უკვე მომზადებული აქვთ სადისერტაციო შრომები. როგორც ვხედავთ, აღნიშნულმა ინსტიტუტმა ამ ორი წლის მანძილზე პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით საგრძნობი წარმატებები მოიპოვა მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ამ მხრივ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც თვალსაჩინო მიღწევები აქვს. თუ 1937 წლის ზაფხულში სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივის რიგებში 53 კაცი იყო მეცნიერებათა კანდიდატი, მიმდინარე წლის მაისის ბოლო რიცხვებისათვის ეს რიცხვი ერთი-ორად და კიდევ მეტად გაიზარდა, ასე, რომ მეცნიერებათა კანდიდატების რიცხვი 110 გახდა.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ამხანაგ ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ფილიალის სისტემაში შემავალი ინსტიტუტებში შეიქმნა ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ დისერტანტებს მაღალ ხარისხოვნად მოემზადებინათ თავიანთი მეცნიერული შრომები. მეცნიერ მუშაკებმა მარტო 1938 წელს დაიცვეს 26 დისერტაცია (ერთი სადოქტორო), ასე რომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ის პუნქტი, რომლის მიხედვით დასაცავად წარდგენილი უნდა ყოფილიყო 23 დისერტაცია, გადაჭარბებით არის შესრულებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ხელმძღვანელი მუშაკები სათანადო დახმარებას უწევენ დისერტანტებს დისერტაციის დაცვის საქმეში. ამავე ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის შემადგენლობიდან — 42 ამხანაგი აღიზარდა და დავაჟკაცდა თვით ინსტიტუტში, აქედან 13-მა დაიცვა სადისერტაციო შრომა და მიენიჭა მეცნიერებათა კანდიდატის სახელწოდება. 6 ამხანაგს კი მომზადებული აქვს საკანდიდატო შრომა და დაიცავენ ამ ახლო მომავალში.

1938 წ. მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი წარმატებით მოიპოვეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქ. ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგემ პროფ. ნ. კეცხოველმა, პროფესორებმა: ს. ჯანაშიამ, პ. ქომეთიანმა, და ნამორაძემ, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებმა ა. ბოჭორიშვილმა და რ. ნათაძემ. აქვე უნდა შევნიშნოთ: პროფ. პ. ქომეთიანის სადისერტაციო შრომის შესახებ ერთერთი რეცენზენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი პალადინი ამბობს, რომ ქომეთიანის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები წარმოადგენს დიდ მეცნიერულ ნაშრომს და მის მიერ მიღებულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოქიმიისათვის, ფიზიოლოგიისა და სხვა დარგისათვის. ასევე კარგ შეფასებას აძლევს ხსენებულ შრომას აკადემიკოსი ივ. ბერიტაშვილი.

ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებიდან, რომლებმაც ჩინებულად დაიცვეს მეცნიერებათა საკანდიდატო შრომები, აღსანიშნავია ანიკო და რუსუდან ხარაძეები (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალი), ვლ. ჩაგუნავა (საქ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი), დ. ერისთავი (ქიმიური ინსტიტუტი) და სხვ.

მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში მიღწევები გვაქვს, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მეცნიერ მუშაკებს შორის ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებსაც დაცული არა აქვთ დისერტაცია სამეცნიერო ხარისხზე. მაგალითად, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასეთი მუშაკია 450, საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — 160, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალში — 119.

ამხანაგ ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე საქართველოს მეცნიერ მუშაკებმა გაათკეცებული ენერგიით უნდა იმუშაონ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მეცნიერ მუშაკთა შორის არ დარჩეს არცერთი, რომელმაც სადისერტაციო შრომა არ დაიცვას. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სადისერტაციო შრომათა ხარისხი და აქტუალური თემატიკა.

საქართველოს მეცნიერ მუშაკებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრების დაუფლებისათვის, ბოლშევიზმის გმირული ბრძოლის ისტორიის ღრმად შესწავლისათვის, ვინაიდან როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა, „...არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ."

ვ. იმედაძე

საქ. უმაღლესი სკოლების და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

ლნი მუცლის წაზდენისა მიზეზად და ნურცა მოშიობისა, ესეცა ამავე მოხელეს ეკითხებოდეს. თუ თავადის ბავშვი იყოს, ისევ თავადმან აღზარდოს იგი თვისად, ეკლესიისა ეკლესიამან აღზარდოს და სამეფოსა სამეფომან".

უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით ომის გამოსაცხადებლად და ზავის ჩამოსაგდებად იოანე ბატონიშვილს საჭიროდ მიაჩნია სათათბირო ორგანოს დაარსება, რომელშიც ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც შევლენ. „იყვნენ თორმეტი ჭკვიანნი კაცნი, კარგი შთამომავლობისანი, გამორჩეულნი, სამი ქართლიდამ, სამი კახეთიდამ, სამი თათრებიდამ, სამი მოქალაქეებიდამ; ესენი ყოველთვის იყვნენ რჩევასა ქვეყნის სარგებლობისასა და ანუ რაიცა საქმე მოხდებოდეს, ან აშლა ვისთანმე ანუ შერიგება ანუ მძიმე საქმეები; მეფის ბრძანებით განიხილავდნენ ამას და თავის რჩევასაც დასდებდნენ და მეფესთან თვისსა განზრახულსა ერთად შეამოწმებდენ და მერეთ ისე დაამტკიცებუნ იმა საქმესა".

შემდეგ პროექტის ავტორი მოითხოვს სასამართლოს პროცესის გამარტივებას და გაუმჯობესებას, სისხლის სამართლის კოდექსის შერბილებას, ისე რომ, მაგალითად, დამნაშავე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისაჯოს სიკვდილით, თუ მან კაცი მესამეჯერ მოჰკლა. მაგრამ ის მკაცრ ღონისძიებათ მოითხოვს სამშობლოს მოღალატეების მიმართ: „გინდ მეფის ძე იყოს, გინდ მეფის მონათესავე ანუ სხვა ვინმე გვამი, მამულის მუხანათს არღა ჰქონდეს გარჩევა".

განსაკუთრებით ფართო გეგმა აქვს ავტორს წმინდა კულტურული აღმშენებლობის დარგში. მას საჭიროდ მიაჩნია ორკვირიული გაზეთის გამოცემა, უმაღლესი სასწავლებლების გახსნა თბილისსა, გორსა და თელავში, სადაც რუსულსა და კავკასიურ ენებს გარდა ბერძნულსა და ლათინურსაც უნდა ასწავლიდნენ, სადაც თავადაზნაურთა შვილების გარდა „პირველნი მოქალაქის შვილებიც" უნდა მიიბარონ. „აგრეთვე იყოს ამაზედ მდაბალი სასწავლებლები; ამას შინა ისწავლიდნენ მდაბლური ვაჭრის შვილები, აგრეთვე გლეხისაც, ვის როგორად შეეძლოთ... ოსტატები ანუ მასწავლებელნი იყვნენ მეფის ხარჯითა, მოწაფენი თავეთ მშობელთ ხარჯითა ვიდრე შემოსავალთ განვცობამდე", ბოლოს პროექტი ითვალისწინებს ფოსტის, აფთიაქის, დავთარხანის ანუ არქივის, ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაარსებას და სხვ.

საქართველოს დაქსაქსვა ცალკე სამეფოებად და სამთავროებად პატრიოტულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეებს ყოველთვის დიდ უბედურებად მიაჩნდათ, და როგორც ცნობილია, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ წინაპართა მოწინავე წრეებში განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს გაერთიანების იდეა. როგორც გულმხურვალე პატრიოტს, იოანე ბატონიშვილს, რასაკვირველია, არ შეეძლო უგულებელეყო ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პრობლემა, ის თავის წინადადებას არდგენს მის გადასაჭრელად: „ოდეს ერთერთი მეფე გარდაიცვალოს ქართლსა და იმერეთსა უწინ, დაშთომილი მეფე დასონ საზოგადოთ ქართველთა და იმერთა. შემდგომად მეფობა იყოს მორიგეობით; ხან აქეთური მეფის ძე და ხან იქითური მეფის ძე დაჯდებოდეს მეფეთ".

იოანე ბატონიშვილს, რასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ ასეთი ხასიათის პოლიტიკური და კულტურული რეფორმები სალ ეკონომიურ საფუძველს გულისხმობდა, რომ „ოდეს იკონომია მოვა თავის წესსა შინა, მაშინ ყოველივე შესაძლებელ არს წარმართვად"; ამიტომ ის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ფინანსების მოწესრიგების, სახელმწიფოს შემოსავლის გადიდების, მეურნეობის და მრეწველობის აყვავების, აღებმიცემობის გაძლიერების საკითხს. მას სასურველად მიაჩნდა იჯარის სისტემის ფართოდ გამოყენება მრეწველობის დარგში, ნაციონალური ბურჟუაზიის გაძლიერება სახელმწიფოებრივი კრედიტის შემწეობით, ვინაიდან „ჩვენ თითქმის სომხებისა და თათრების ვაჭრების ხელის შემხედველნი ვართ, და ეს ძლიერება იქნება ჩვენი ოდესმე ვაჭარნიცა ჩვენნი იქნებიან... ქართლიდამ, კახეთიდამ, სომხითიდამ სამი ათასი კომლი კაცი, ვინც იყვნენ დიდის სოფლებიდამ თუ მცირედამ, შეხვედრით ავყაროთ და ქალაქში დავაყენოთ. სხვებცა შეწევნა ვუყოთ.

გარდა ამისა სომეხთა და თათართაც ისე ივაჭრონ, როგორთაც უვაჭრიათ პირველ".

ბოლოს დიდათ ნიშანდობლივია, რომ იოანე ბატონიშვილს როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებლად მიაჩნია თავისებური ფეოდალური კოლექტიური მეურნეობის შექმნა სოფლად. „გარნა ეს უმჯობესი იქნების უკეთუ ყოველი ბარის სოფლებმა, ვისიც გინდა ყმა იყოს, შეძლებისამებრ, ვთქვათ ოცდახუთის დღის მიწიდამ ვიდრე ოცდაათამდის მოხნან საზოგადოდ და დათესონ ნახევარში პური და ნახევარში ქერი; თითონვე მომკან, გალეწონ და შეინახონ ამბრებში ქერი და პური, ხოლო ბზე სამძელში. უკეთუ ქვეყანას დასჭირდეს, მაშინ იგინი არღა შეწუხდებიან, პური მზად იქნების და იქიდან დაიხარჯება".

იოანე ბატონიშვილმა მრავალი წიგნი დასწერა და გადმოთარგმნა ფილოსოფიური, მათემატიკური, ლექსიკოგრაფიული, საბუნებისმეტყველო, ისტორიული ხასიათისა, მათ შორის აქტუალური ლიტერატურული მნიშვნელობა დღეს მხოლოდ მის „ხუმარ სწავლას" ანუ „კალმასობას" აქვს. თუ „უკვე შევრდომილესი წინადადებანი" წარმოდგენას იძლევა განახლებულ საქართველოზე, როგორც ავტორს თავისი სამშობლო უნდოდა ენახა, მისი „კალმასობა" ფეოდალური საქართველოს მიუფერებელ სურათს გვიხატავს. მართალია, ეს „დაბადების ოდენა წიგნი" სამშობლოდან გაძევების შემდეგ დასწერა პეტერბურგში, მაგრამ მან იქ გამოიყენა ახალგაზრდობაში დაგროვილი ცოდნა ადამიანებისა და საგნებისა, რაიცა არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა დაკვირვებულ და გონებამახვილ მწერალს, რომელიც მეფეებიდან მოითხოვდა, რომ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც შემოევლოთ თავიანთი სამეფო, კვირაში ორჯერ მაინც აივანზე გამოსულიყვნენ ხალხთან საჩივარის და თხოვნის მოსასმენად და მეჯლისზე დიდებულთა გარდა ვაჭარნი და მდაბიონიც დაეპატიჟნათ.

არის „კალმასობაში" ისეთი რამ, რაც რამდენიმეთ ბოკაჩიოს, რაბლეს, ვოლტერის თავისუფალ აზროვნებას მოგვაგონებს. ალაგ-ალაგ ნატიფი ირონია თითქო ჩვენი მდაბიო ხალხის ტლანქ ჰუმორში გადადის. მაგრამ იოანე ბატონიშვილის აზროვნება გარკვეულ ფილოსოფიურ საფუძველზეა დაყრდნობილი. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ მან რუსეთში ყოფნის დროს, სხვათა შორის, ფრანგი სენსუალისტების მეთაურის აბატ კონდილიაკის „ლოგიკა" და შოტლანდიელ მორალისტ ფილოსოფოსის ადამ ფერგიუსონის „ზნეობითი ფილოსოფია" გადმოთარგმნა: ის ეთანხმება მათს შემეცნების თეორიას და მათს ეთიკას.— „რაისადმი სახმარ არიან გრძნობანი ესე (ე. ი. ხედვა, ყნოსვა, სმენა, შეხება და გემება)? საშუალებითა უკვე ამა ხუთთა გრძნობათა სული ჩვენი მიმღებლობს მცნობელობასა არა თუ ოდენ მისთვის, რაიცა სხეულსა შინა მისსა, არამედ მისთვისაცა, რაიცა გარეშე მისსა იმოქმედებიან. — რა არის კეთილი და რაი არს ბოროტი? კეთილი არს ყოველი იგი, რაიცა შეგვიქმს ჩვენ კეთილ შემთხვეულობასა, ხოლო ბოროტი არს იგი, რომელიც გვყოფს ჩვენ უბედურად. უბედურებასა შინა ნუ შესწუხდები, ბედნიერებასა შინა ნუ მოუძღურდები და სხ".

მაგრამ უნდა ითქვას, რომ „კალმასობას" საინტერესო საკითხავ წიგნად ხდის არა მისი ფილოსოფიური და მეცნიერული ნაწილი, სადაც ავტორი პოპულარული ენციკლოპედიის სახით თავისი დროის ცოდნას გადმოსცემს დიალოგის ფორმაში, არამედ აღწერითი ნაწილი, სადაც იმდროინდელი საქართველოს ყოფაცხოვრება, ზნეჩვეულება და ადამიანების ფსიქოლოგიაა ასახული.

ფეოდალური საქართველოს სახით იოანე ბატონიშვილი მეტის მეტად დაავადებულ ეროვნულ ორგანიზმს გვიხატავს. „ქართლში სამართალი არ ქნილა და არც იქნება", ამბობს ის. როცა მგზავრობის მესამე დღეს იონა ბერი თავისი სანჩო პანსას, ზურაბა ღამბარაშვილის თანხლებით სოფელ ქალაში მიდის თავად აბაშიძეებთან, მათ კოშკიდან მოესმით „ხმა რაიმე მწუხარებისა". აღმოჩნდება, რომ კოშკში ტყვე გლეხები არიან: აბაშიძე მათ თურქეთში გაყიდვას უპირებს. ვახშამზე, სადაც კეთილშობილი მანდილოსნებიც სხედან და სადაც ნატურფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ეთიკური საკითხებიც ირკვევა, სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდება ამ ტყვეებზე. თავადს აბაშიძეს და მის ვასალს პაპუა ორჯონიკიძეს სრულიადაც სავალალოდ არ მიაჩნიათ მათი ბედი. ისინი ასე მსჯელობენ: ეგვიპტეში მრავალმა ქართველმა ტყვემ ბეგობა მიიღო, ადამიანისთვის კი ბოლოს სულ ერთია სად იცხოვრებს ის ბედნიერად, სამშობლოში თუ მის გარეთ; ქრისტიანი ქართველი ტყვის ბედი სახარბიელოცაა: თუ მან ცთუნებას და ძალდატანებას გაუძლო, საიქიოში სამოთხეს დაიმკვიდრებს, ხოლო თუ სატანჯველი ვერ აიტანა და რჯული გამოიცვალა, ბეგი ან ფაშა გახდება.

ამ თავისებურ ცინიკურ ბანკეტს ტრაგიკომიზმით ალსავსე ამბავი მოსდევს. ვახშმობის შემდეგ თავის ბინაზე მისულ იონა ხელაშვილს შეეშინა, ვაი თუ აბაშიძემ და ორჯონიკიძემ ჩემი გაყიდვაც იფიქრონ, მით უმეტეს, რომ ერთი კაცი აკლიათ, რათა ტყვეების რიცხვი ათად შეასრულონო. ის მაინც და მაინც ვერც თავის თანამგზავრს ღამბარაშვილს ენდობა, ვინ იცის ეგებ სიხარბემ სძლიოს და რამდენიმე ოქროში გამცვალოსო, ამიტომ კეთილგონიერად ცხენს მოაპტა და ხაშურისაკენ გააჭენა. ხაშურთან შეამჩნია, რომ აბაშიძის მდევრები მოსდევდნენ. ერთი უცნობი გლეხის სახლში შევარდა, ქვეშაგებში ჩაწვა და ზევიდან დედაბერი დაისვა. მაგრამ საბედნიეროთ აღმოჩნდა, რომ აბაშიძეს მისთვის თავისი კაცები დაედევნებია არა დასაჭერად, არამედ უკან დასაბრუნებლად და დასასაჩუქრებლად; მათ იონას რამდენიმე ბაჯაღლო ოქრო გადასცეს. და ის პათოსით და ირონიით ალსავსე ჰიმნი, რომელსაც დაშოშმინებული ბერი ოქროს მიუძღვნის, ღირსეული დასასრულია მთელი ამ სასაცილო და სატირალი თავგადასავალისა.

ადვილი შესაძლებელია, რომ იოანე ბატონიშვილს ის ხაშურელი დედაკაცი, რომელმაც თავის დაკონკილ საბანში დამალა დაფეთებული იონა ბერი, უფრო ჯანსაღი წოდების წარმომადგენლად მიაჩნდა, ვიდრე ქართველი ფეოდალური არისტოკრატია, სამღვდელოება და მოხელეობა. მაგრამ ის წინააღმდეგი იყო ფეოდალური წესწყობილების საფუძვლის მოშლისა, წინააღმდეგი იყო თვით აზნაურის და გლეხკაცის სისხლის შერევისა. ამიტომ გაბატონებულ წოდებათა და მმართველთ წრეთა ზნეობრივი დაავადება მას უდიდეს უბედურებად მიაჩნდა ქართველი ერისთვის.

გავიხსენოთ რამდენიმე განსაკუთრებული მკვეთრი სურათი „კალმასობიდან". ლეკები სურამელ გლეხებს არბევენ და ნაპირს იტაცებენ. სურამელი მოურავი დახმარების მაგივრად ხელმეორედ არბევს სოფელს და გადარჩენილ საქონელს ეპატრონება: ეს ჯარიმა არის, რატომ მდევარში არ გამოხველითო. სოფელ სალოლაშენში ათასისთავს, ზაზა ამირეჯიბს ცხენები საუცხოოდ ჰყავს მოვლილი, მეჯინიბეები მათ ქვეშ უგვიან და უსუფთავებენ, მისი ჭუჭყიანი ბავშვები კი ნეხვში თამაშობენ. მცხეთის კათალიკოსი პალატის ფანჯრებს ახურვინებს, არავინ დამინახოს, რომ დიდ მარხვაში ცისკრის წინ აპალდაჭერილი ორაგულით ვძღებიო. დავით ბატონიშვილის ცერემონმეისტერი იმდენად უმეცარია, რომ ცოლის მოწერილი წერილი ვერ წაუკითხავს; ასეთ ხელისუფალთა რიცხვი ლეგიონია, მათ არაფერი გააჩნიათ გარდა უსაზღვრო მადისა. მღვდელ ანჯიქო ბებურიშვილს ავაზაკების ბრბო ჰყავს, ის მათ ქურდობისა და ყაჩაღობის სხვადასხვა ოინს ასწავლის. მღვდლები და დიაკვნები ჟამნის და სახარების კითხვის დროს „დია სხლტებიან და ბევრ სიტყვას უშვებენ", მაგრამ საუცხოვოთ იციან ყანწის მომარჯვება და ლიტანიის გაკეთება ღვინით სავსე ქვევრის წინაშე. თვით იონა ბერი ერთ საღამოს მღვდელ არონ ალექსიშვილის ოჯახში დანაყრდება და შეზარხოშდება. ღამით წყურვილი გამოაღვიძებს, წამოდგება, დოქის ძებნას დაიწყებს ხელების ფათურით და მასპინძლის ცოლის ლოგინს წააწყდება. ქალი ყვირილს ასტეხს. ამას მოჰყვება ქმრის გამოღვიძება, სტუმარ-მასპინძლის ჩხუბი, ცემატყეპა და წვერთა გლეჯა. თბილელი მიტროპოლიტი საქათმეში ხვდება სტუმრებს, იქ ის აღშფოთებული არკვევს, რომ მის ათს ყვერულს ერთი ცალი აკლია.

თუ თავის რეფორმების პროექტში იოანე ბატონიშვილმა გამოარკვია როგორ შეიძლებოდა, მისი აზრით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის გადარჩენა, „კალმასობაში" მან დაგვანახვა, რატომ დაიღუპა ბაგრატიონების სამეფო. მან დაგვანახვა, რომ სრსვილი მთელს სხეულს ღრღნიდა, რომ ყველაზე მეტად სწორედ მთავარი ორგანოები იყო დაავადებული. როგორც განათლების ეპოქის შვილს შეეფერებოდა, ფრანგ და გერმანელ რაციონალისტ ფილოსოფოსების მიმდევარს, ის თავის სამშობლოს მთავარ უბედურებას ევროპული განათლების უქონლობაში ჰხედავდა: „პირველ რომ, როგორც რიგია, ვერა იზრდებიან სწავლითა მეფის ძენიცა და თავადნიც, ხოლო მეორე, რადგან აზიელი ჩვეულება შემოსულა ამ ქვეყანაში, ისე ვიქცევით ჩვენ და ამისათვის, ვითარცა მათ შორის არის ძმათა ამბოხება და ურჩება, აგრეთვე აქა მოულიესთ".

რა საშუალებით შეიძლებოდა ამ დაავადებული ორგანიზმის თუ სრული განკურნება არა, ყოველ შემთხვევაში დროებით გამოჯობინება მაინც? პოლიტიკური და ეკონომიური რეფორმებით? მათზე ოცნება აღარ შეეძლო უცხოეთში გადაჭვეწილ ბატონიშვილს. მას ისღა დარჩენოდა, რომ თავისი ნაწერებით მეცნიერული და ზნეობრივი იდეების პროპაგანდა გაეწია. ის პატრიოტული სიტყვა, რომელითაც თავისი მოგზაურობის მეოცე დღეს იონა ხელაშვილი ბოდბის მონასტრის ჭადრებ ქვეშ შეკრებილ ხალხს მიმართავს, დიდი ზნეობრივი იდეალიზმითაა გამსჭვალული. არსებითად ესაა თავის სამშობლოს ბედზე ღრმად ჩაფიქრებული მამულიშვილის, იოანე ბატონიშვილის მოწოდება მისი თანამედროვე ქართველი ერის მიძინებული სინიდისისა და დაჩლუნგებული სოციალური ინსტიქტისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა სვატოუში

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის საზღვაო ხელისუფალთა გადაწყვეტილება შეუშვან სვატოუში ინგლისის გემები, რომლებსაც მიაქვთ სურსათ-სანოვაგე და ფოსტა, აგრეთვე მიჰყავთ მგზავრები, შეანელებს შეშფოთებას ჰონკონგის სასურსათო მდგომარეობის გამო, რადგან ინგლისის ეს კოლონია სურსათ-სანოვაგის მთავარ მასას სვატოუს გზით იღებს.

ცინდაოში იაპონელებმა დაიწყეს ანტიინგლისური კამპანია. ანტიინგლისური პლაკატები გაკრულია ინგლისის საკონსულოს და ინგლისის ფირმების შენობებზედაც კი.

ბრიტიშ იუნაიტედ პრესი იუწყება, რომ ინგლისის კონსულმა ჩიფუში ინგლისის საზღვაო ხელისუფალთ ჩინეთში სთხოვა გაჰგზავნონ ჩიფუში სამხედრო გემი ინგლისელ მოქალაქეთა და მათი საკუთრების დასაცავად.

სვატოუ

(ცნობა)

სვატოუ მდებარეობს სამხრეთ ჩინეთში, 300 კილომეტრზე ჰონკონგის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სვატოუს მოსახლეობას შეადგენს 180 ათასამდე კაცი, მათ შორის 2500 ევროპელი და ამერიკელი. კანტონისა და ამოის დაცემის შემდეგ ჩინეთის მთელი ექსპორტის 38 პროცენტი სვატოუზე გავიდა.

ნავსადგურში მოსული უცხოეთის გემები აქ გადმოტვირთავდნენ ხოლმე ბრინჯს და ფქვილს, აგრეთვე საომარ მასალას.

სვატოუს ნავსადგური ჩინეთის შიდა რაიონებთან დაკავშირებულია რკინიგზით, აგრეთვე ახალი გზატკეცილით; ეს გზატკეცილი შაოჯოუდან (გუანდუნის პროვინციის ახალი დედაქალაქი) მდინარე ხანის გასწვრივ მიდის იმ პუნქტამდე, რომელიც სვატოუდან 50 კილომეტრზე მდებარეობს. სვატოუში იმყოფება ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა, ბელგიის, დანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ნორვეგიისა და იაპონიის საკონსულოები.

ამერიკის შეერთებულ შტატებს აქ მნიშვნელოვანი ინტერესები აქვს და ამერიკა წარმოდგენილია რამდენიმე სავაჭრო ფირმის სახით, მათ შორის ნიუ-იორკის ნავთის კამპანია „სტანდარტ ოილი“, აგრეთვე ნიუ-იორკის ბანკის „ნეიშენელ სიტი ბენკის“ განყოფილება.

სვატოუში არის ოთხი გემთმისადგომი. ამ გემთმისადგომების მფლობელები არიან: ინგლისის სანაოსნო ფირმა „ბატერფილდ ენდ სუაირი“ და ინგლისის ფირმა „ჯარდინ, მეტისონ ენდ კომპანი“. ამას გარდა, ერთი გემთმისადგომი ჩინელი ვაჭრების მფლობელობაშია.

სვატოუს ძირითადი სამრეწველო საწარმოებია შაქრის ქარხნები და საქსოვი ფაბრიკა. სვატოუდან უმთავრესად გააქვთ შაქარი, თამბაქო, ქსოვილები და ჩაი.

სვატოუს დაცემა დიდ ზიანს მოუტანს ინგლისის ნაოსნობასა და მის ვაჭრობას ჰონკონგთან. იაპონელთა მიერ სვატოუს დაკავება აძლიერებს იმ საფრთხეს, რაც ჰონკონგს ემუქრება.

ლონდონი, 23 ივნისი, (საკდესი).

გერმანელი ოკუპანტების თარეში ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 24 ივნისი (საკდესი). გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებით, გერმანიის „პროტექტორს“ ჩეხიასა და მორავიაში უფლება აქვს 31 ივლისამდე დახუროს ყველა პოლიტიკური, კულტურული და სასპორტო კავშირი ჩეხიასა და მორავიაში. აგრეთვე ყოფილი სოციალ-დემოკრატიული კოოპერატივები და ამხანაგობანი. „პროტექტორის“ განკარგულების გასაჩივრება არ შეიძლება.

ამერიკის პრესა ტიანძინის ამბების გამო

ნიუ-იორკი, 22 ივნისი (საკდესი). ამერიკელი ჟურნალისტები პირსონი და ალენი სწერენ, რომ ინგლისის ელჩის უკანასკნელი კერძო თათბირი სახელმწიფო მდივანთან ჰელთან მოწმობს, რომ ინგლისი უაღრესად საჭიროებს ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობას შორეულ აღმოსავლეთში.

თუმცა ჰელი სდუმს, მაგრამ, როგორც სჩანს, იგი დადებითად უყურებს ინგლისთან თანამშრომლობის საკითხს. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო კი წინააღმდეგია ასეთი თანამშრომლობისა.

უნდა აღინიშნოს, სწერენ კორესპონდენტები, რომ ინგლისი ახლა იმკის იმ პოლიტიკის ნაყოფს, რომელსაც იგი ეწეოდა 1931 წელს, როცა მან უარი სთქვა მხარი დაეჭირა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებისათვის იაპონიის მიერ მანჯურიის ხელში ჩაგდების წინააღმდეგ ერთად გამოსვლის შესახებ. იმის შემდეგაც კი, რაც ინგლისმა იაპონიას გადასცა ამერიკის ნოტის ანალოგიური საპროტესტო ნოტა, მალე ინგლისის ელჩმა ტოკიოში განუცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ეს ნოტა უბრალო ფორმალობას წარმოადგენს და რომ ინგლისისთვის გასაგებია იაპონიის პრობლემები.

საერთაშორისო საზღვაო კონფერენციების დროს ინგლისს არაერთხელ უთანამშრომლნია იაპონიასთან. ერთერთ ასეთ კონფერენციაზე ამერიკის დელეგაციამ თავი შეიკავა ეცნობებინა ინგლისის დელეგატის კრეიგისათვის საიდუმლო ინფორმაცია, რადგან ეშინოდა იგი იაპონიას არ გადასცესო. კრეიგის, რომელიც ამჟამად ინგლისის ელჩია იაპონიაში, დაკისრებული აქვს არასასიამოვნო ამოცანა პროტესტი განუცხადოს მთავრობას, რომელსაც იგი ოდესღაც მხურვალედ უჭერდა მხარს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, იაპონია ცდილობს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ იაპონიის ღონისძიებანი ტიანძინში მიმართულია მხოლოდ ინგლისის წინააღმდეგ. მაგრამ ჰელის განცხადება მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეშინიათ ამ კონფლიქტის დიდი შედეგებისა.

კომენტარიას უკეთებს რა ამერიკის შეერთებული შტატების ნოტას იაპონიის მთავრობისადმი, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ სწერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნოტები ვერ ალაგმავს იაპონელებს, რომელნიც არღვევენ ამერიკის უფლებებსა და ინტერესებს ჩინეთში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ადვილად შეუძლია გამოიყენოს უფრო ეფექტური ეკონომიური ზეგავლენა იაპონიაზე, რადგან უკანასკნელი ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს მთელი სტრატეგიული ნედლეულის ნახევარზე მეტს. შემდეგ, გაზეთი აცხადებს, რომ ნეიტრალიტეტის შესახებ არსებული კანონი ხელს უშლის ასეთი ეკონომიური ზეგავლენის მოხდენას იაპონიაზე. გაზეთი მოითხოვს ამ კანონის გადათვალიერებას.

მარიონეტული „მთავრობის“ მოთხოვნები ინგლისის ხელისუფალთადმი ტიანძინში

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის საკონსულომ ტიანძინში მარიონეტული „მთავრობისაგან“ მიიღო წერილი, სადაც იგი მოითხოვს იმ „ტერორისტების“ დაუყოვნებლივ გადაცემას, რომელნიც თითქოს ინგლისის კონცესიაზე იმყოფებიან; ჩინეთის ნაციონალურ მთავრობის ბანკნოტების ხმარების შეწყვეტას და „დახმარებას“ იმ საქმეში, რომ მარიონეტულ „მთავრობას“ გადაეცეს ვერცხლის მარაგი, რომელიც ჩინეთის მთავრობას ეკუთვნის და კონცესიაში ინახება; ინგლისის ხელისუფალთა თანხმობას მარიონეტული „მთავრობის“ მიერ ჩინეთის იმ ბანკებისა და სავაჭრო საწარმოთა ინსპექტირებაზე, რომლებიც კონცესიის ტერიტორიაზე მდებარეობენ, და ბოლოს, იაპონიისადმი ყველა იმ მტრული აზრის ჩახშობას, რასაც კრებებზე და პრესაში გამოსთქვამენ.

დასასრულ მარიონეტული „მთავრობა“ ემუქრება ინგლისის ტიანძინის კონცესიის ხელისუფალთ, თუ ისინი მოთხოვნებს არ შეასრულებენ.

ინგლისის პრესა ინგლის-იაპონიის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). გუშინ ჰალიფაქსს საუბარი ჰქონდა იაპონიის ელჩ სიგემიცუსთან. გაზეთები იუწყებიან, თითქოს ჰალიფაქსს ელჩისთვის განეცხადებინოს თუ ინგლისელ მოქალაქეთა შეურაცხყოფა გაგრძელდა, ინგლისის მთავრობა „იძულებული იქნება ენერგიული ზომები მიიღოსო“. „დეილი ჰერალდი“ დასძენს, რომ ამ კვირაში ჰალიფაქსმა უკვე სთხოვა ელჩს გადაეცა იაპონიის მთავრობისათვის ეს გაფრთხილება და გუშინ უკვე მოსთხოვა პასუხიო. იაპონიის ელჩს კი პასუხი არ გაუცია.

სიამის წინადადება ინგლისისა და საფრანგეთისადმი

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). „დეილი ექსპრესი“ იუწყება, რომ სიამის მთავრობამ ფორმალურად მისცა წინადადება ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს მისცენ მას გარანტია აგრესიისაგან დაცვისა.

გაზეთის სიტყვით, ინგლისის საავიაციო ატაშემ სიამში ინგლის-საფრანგეთის სამხედრო კონფერენციას სინგაპურში გადასცა სიამის მთავრობის წინადადება, რომლითაც იგი ინგლისისა და საფრანგეთის განკარგულებაში გადასცემს სიამაში არსებულ ყველა აეროდრომსა და საწვავი მასალის საწყობს.

საფრანგეთ-თურქეთის დეკლარაცია

პარიზი, 24 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს ინგლის-თურქეთის დეკლარაციის ანალოგიურს საფრანგეთ-თურქეთის დეკლარაციის ტექსტს ურთიერთდახმარების შესახებ; დეკლარაციას გუშინ პარიზში ხელი მოაწერეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბონემ და თურქეთის ელჩმა საფრანგეთში სუად დავაზმა.

საბერძნეთის თავდაცვითი ღონისძიებანი

პარიზი, 24 ივნისი (საკდესი). ალბანეთ-საბერძნეთის საზღვარზე გრძელდება იტალიის ჯარის კონცენტრაცია. ამასთან დაკავშირებით, საბერძნეთის მთავრობამ მიიღო თავდაცვითი ზომები და გაჰგზავნა ჯარი ალბანეთის მოსაზღვრე რაიონებში.

24 ივნისს გაიხსნა სასკოლო სპარტაკიადა

სურათზე: თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): ლიზა მუტაბოვა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ქალ-ველოსიპედისტთა შორის ხუთი კილომეტრის მანძილზე, და სპარტაკიადის მონაწილენი ლენინის სახელობის სტადიონზე პარადის დროს.

ფოტო რ. აკოფოვის

გერმანიის საომარი მზადება პოლონეთის წინააღმდეგ

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). „დეილი ჰერალდი“ იუწყება, რომ გერმანიის ტერიტორიაზე დანციგის მახლობლად ასობით კვალიფიციური მუშა დღისითა და ღამით მუშაობს ყაზარმების მშენებლობაზე.

ტოპოტიდან გდინიაში მიმავალ მთავარ გზაზე ავტობუსებმა ძალიან ფრთხილად უნდა იარონ, ვინაიდან გზის გასწვრივ მოწყობილია ტყვიამფრქვევების ნაჩქარევად შექმნილი ბუდეები, რომლებსაც ახლა ბეტონით ამაგრებენ. გზის მოშორებით მოწყობილია ტანკის საწინააღმდეგო ორმოები და სამეთვალყურეო საგუშაგოები. იუწყებიან, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანიამ ერთიორად გაადიდა ყუმბარმტყორცნთა ესკადრილიის რიცხვი.

გერმანია-იტალიის სამხედრო თანამშრომლობა

ბერლინი, 24 ივნისი (საკდესი). ამ დღეებში ფრიდრიხსჰაფენში (გერმანია) შესდგა გერმანიისა და იტალიის სამხედრო ფლოტების სარდლების თათბირი, რის შემდეგ დღეს ბერლინში, გერინგის მოწვევით, ჩამოდის იტალიის ავიაციის სამინისტროს სტატს-მდივანი გენერალი ვალე.

საომარი მზადება ინგლისში

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). საფოსტო უწყებამ მიიღო ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ შესაძლო მოწინააღმდეგის ყუმბარმტყორცნებს დაუმალოს სატელეფონო სამსახურის დისლოკაცია. მიღებულია აგრეთვე ზომები საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ყველა სატელეფონო სადგურის დასაცავად და განსამტკიცებლად. ახლა მიწის ქვეშ არის 13 მილიონი მილი კაბელი, ხოლო მიწის ზემოთ არის მხოლოდ 1,5 მილიონი მილი.

მოკლე ცნობები

(საკდესის მასალების მიხედვით)

⊙ 22 ივნისს პარიზში დაიხურა საფრანგეთის ფეიქართა პროფკავშირული გაერთიანების ყრილობა. ფეიქრები მოითხოვენ მტკიცე პოლიტიკას ფაშისტური სახელმწიფოების მიმართ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას.

⊙ 10 ივნისს ჰიტლერმა გასცა ბრძანება დააჩქარონ პურეულის მოსავლის აღება აღმოსავლეთ პრუსიაში და „პროტექტორატ ჩეხიასა და მორავიაში“. აღმოსავლეთ საზღვრის სანაპირო ზონის ფარგლებიდან პური სასწრაფოდ უნდა იქნას გატანილი.

⊙ შალგოტარიანის (სლოვაკია) რაიონში გაიფიცა 8 ათასი სლოვაკელი მაღაროელი. გაფიცვას მხარი დაუჭირეს შალგოტარიანის შუშის ქარხნის მუშებმა.

⊙ ლონდონში საკაბელე ქარხნის მეწარმეებმა პროფკავშირის წევრობისათვის დაითხოვეს 20 მუშა. ლეიბორისტ უინდსორის განცხადებით, ეს ქარხანა არის დამხმარე საწარმო გერმანიის ფირმის „ფოგელ ვაიერ კომპანისა“.

დაიწყო თბილისის სასკოლო სპარტაკიადა

24 ივნისს თბილისში ლენინის სახელობის სტადიონზე სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავად შესდგა თბილისის სასკოლო სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. სპარტაკიადის გახსნის აღსანიშნავად გაიმართა მის მონაწილეთა პარადი, რომელიც მიიღო ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭელიძემ და თბილისის განათლების განყოფილების ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

იმავე დღეს კახეთის გზატკეცილზე გაიმართა სპარტაკიადის მონაწილე ველოსიპედისტების შეჯიბრება, ფიზკულტურის პარკის აუზში გაიმართა შეჯიბრება მცურავებს შორის, ხოლო ფეხბურთელთა შეჯიბრება დაიწყო ლენინის სახელობის სტადიონზე. 25 ივნისს გრძელდებოდა შეჯიბრება ჩოგბურთში და მძლეოსნობაში.

სპარტაკიადაში 500 მოსწავლე ღებულობს მონაწილეობას.

კურორტი საირმე

კურორტი საირმე თავისი ძვირფასი სამკურნალო თვისებებით ერთი განთქმულთაგანია საქართველოს კურორტებს შორის.

გასული წლის სეზონი კურორტმა წარმატებით დაამთავრა. მიმდინარე წლის მაისიდან კურორტის დირექციამ ენერგიული მუშაობა გააჩაღა დამსვენებელთა კიდევ უფრო უკეთ მომსახურებისათვის.

ამჟამად უკვე კეთილმოწყობილია კურორტის საცხოვრებელი სახლები. წესრიგშია მოყვანილი სამკურნალო წყაროები, დასასვენებელი სახლები უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით, დამატებით შენდება და უახლოეს დღეებში დამთავრდება სასტუმროს ახალი შენობა, რომელიც 100-მდე დამსვენებელს დაიტევს.

კურორტზე საექიმო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით იმუშავებს პოლიკლინიკა. წელს აქ პირველად გაიხსნება აფთიაქი და სხვ.

გასულ წელთან შედარებით დიდად გაუმჯობესებულია კურორტზე მისასვლელი გზებიც. ერთი სიტყვით, კურორტი უკვე ყოველმხრივ მზადაა სეზონისათვის. სეზონი გაიხსნება პირველ ივლისს.

გ. მაჩიტაძე

ფეხბურთი

„დინამო“ (თბილისი) „მეტალურგი“ (მოსკოვი)

3:0

მოსკოვი, 25 ივნისი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან). დღეს „დინამოს“ სტადიონზე, 50 ათასი მაყურებლის დასწრებით, შესდგა თბილისის დინამოელთა პირველი მატჩი მოსკოვში. თბილისის „დინამოს“ გუნდი გამოვიდა „მეტალურგის“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:0 თბილისელების სასარგებლოდ. სამივე ბურთი გატანილ იქნა თამაშის უკანასკნელ ათ წუთში.

190-კილომეტრიანი კულტლაშქრობა ხევსურეთში

ბარისახო (ჩვენი სპეც. კორ.). 24 ივნისს დაიწყო დიდი კულტლაშქრობა პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთის ვიწრო და მკაცრ ხევებში დაკლაკნილი პატარა ბილიკებით. ახალი ხევსურეთის კულტურულ ძალთა წარმომადგენლები შეუდგებიან 190-კილომეტრიან გზას, რათა მიყრუებულ და შორეულ ხევსურულ სოფლებში მიიტანონ ახალი სიტყვა და ახალი ამბები.

კულტურული ლაშქრობის მიზანია მოსახლეობისათვის კონსულტაციის გაწევა, მათთან საუბრების ჩატარება სხვადასხვა საკითხებზე; ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების მიწოდება; სკოლების მუშაობის შემოწმება და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გაჩაღება; წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობის შემოწმება და მათთვის დახმარების გაწევა; სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა; ისტორიული XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენებებისა და საუბრების ჩატარება; საერთაშორისო საკითხებზე, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე საუბრების მოწყობა; წითელ არმიაში მორიგი გაწვევის მნიშვნელობის შესახებ საუბრების ჩატარება და სხვ.

ლაშქრობაში სულ 14 კაცი მონაწილეობს. ხელმძღვანელად გამოყოფილია ამხ. ი. პავლიაშვილი, კომანდორად ამხ. ი. კუცია და პოლიტხელმძღვანელად ამხ. აბ. სინჯარაძე. ლაშქრობის მონაწილეთა შორის 3 ქალია.

კულტლაშქრობის მარშრუტი ასეთია: ბარისახო, სოფ. ქმოსტი, რიშკა, ბლო, მიროვაგულის ტბა, ბლოს გადასასვლელი, სოფ. არხოტი, ტანიის ხეობა, ისარდღელის გადასასვლელი და სოფ. შატილი. აქედან მოლაშქრენი წავლენ სოფ. გიორგიწმინდაში, გაივლიან „მკვდარ ქალაქს“ (ანატორის აკლდამები), სოფ. ხანიჭალას, არდოტს, ლაბაისკარს, ველკეთილს, ანუ დათვისჯვრის გადასასვლელს, სოფ. ბაცალიგოს, ხახმატს, ბისოს, გუდანს, ღულს და დაბრუნდებიან ბარისახოში.

ლაშქრობა 15 ივლისამდე გასტანს.

თ. ფურცელაძე.

ყრუ-მუნჯთა მასობრივი ექსკურსიები

საზაფხულო ტურისტული და საექსკურსიო სეზონის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან თბილისში საექსკურსიოდ ჩამოდიან ყრუ-მუნჯ ტურისტთა მრავალრიცხოვანი ექსკურსიები.

ამ მოკლე დროის განმავლობაში მოსკოვიდან, ხარკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ოდესიდან, მინსკიდან და სხვა ცენტრალური ქალაქებიდან თბილისს ჩამოვიდნენ ყრუ-მუნჯ სტახანოველთაგან შემდგარი დიდი ჯგუფები, რომლებმაც თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების შემდეგ ინახულეს ამხანაგ სტალინის სამშობლო გორი და ის სახლი, სადაც დაიბადა და გაატარა ბავშვობა დიდმა ბელადმა.

ამ დღეებში მოსკოვიდან და ლენინგრადიდან თბილისში მოელიან ყრუ-მუნჯ ტურისტთა კიდევ ორ დიდ ჯგუფს, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ნახონ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახლი და გაეცნონ თბილისსა და საქართველოს სხვა შესანიშნავ ისტორიულ ძეგლებსა და ადგილებს.

სხვადასხვა ქალაქებიდან საქართველოში საექსკურსიოდ ჩამოსული სტუმრების მომსახურებისათვის საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას გამოყოფილი ჰყავს სპეციალური კადრი გამოცდილი ამხანაგებისა მუნჯური მეთოდით მათთვის ახსნა-განმარტების მისაცემად.

ამ მოკლე ხანში საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება აწყობს მრავალრიცხოვან ექსკურსიებს ბათუმში, ბაქოსა და გორში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 50 საუკეთესო თბილისელი სტახანოველი ყრუ-მუნჯი.

ველოსიპედისტთა მარულა ლენინგრად-ლუგა-ლენინგრადის მარშრუტით

ლენინგრადი, 24 ივნისი (საკდესი). დამთავრდა ველოსიპედისტთა ორდღიანი მარულა ლენინგრად-ლუგა-ლენინგრადის მარშუტით.

300-მდე კილომეტრი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ამხ. გუსაროვმა. ეს მანძილი მან 9 საათსა, 31 წუთსა და 17 წამში გაიარა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საგზაო ველოსიპედებზე მსხდომი მემარულენი. მათ გაიარეს ნახევარი გზა — ლუგიდან ლენინგრადამდე. პირველი ადგილი დაიკავა ლენინგრადის სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა ამხ. ნაზაროვმა, რომელმაც დისტანცია 5 საათსა, 50 წუთსა და 56 წამში გაიარა.

მეცნიერ-მუშაკთა კრება

27 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარის ქ. № 1) საქართველოს უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და მეცნიერ მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიურო იწვევენ მეცნიერ მუშაკთა კრებას.

დღის წესრიგშია საკითხი მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

სასამართლო

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელი

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობა „გუთნის“ წევრებმა საერთო კრებაზე ერთხმად გადასწყვიტეს კოლმეურნეობის თავისუფალ ნაკვეთზე გაეშენებინათ ახალი ვენახი.

ახალი ვენახის გასაშენებლად კოლმეურნეობაში დიდი მუშაობა გაჩაღდა, ყველა წევრი გულმოდგინედ მუშაობდა, დარწმუნებული იმაში, რომ ვენახი გააძლიერებდა კოლმეურნეობას და დოვლათს შეჰმატებდა მას. ჩაჰყარეს 1.900 ძირი ვაზი და მეორე წელს პირველ მოსავალს მოელოდნენ.

კოლმეურნეობის წევრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლადგაშენებულ მეურნეობას მიუჩინეს დარაჯები, მაგრამ 1939 წლის 17 იანვარს წვრილფეხა ბანდიტებმა განაიარაღეს მეურნეობის დარაჯები, ამოიღეს ახლადდარგული ვაზი, ზოგიც იქვე წაახდინეს და მიიმალნენ.

დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ ეჭვით გაჩხრიკეს ამავე კოლმეურნეობის წევრის მიხა ივანეს-ძე ბერუკაშვილის კარმიდამო, სადაც აღმოაჩინეს მიწაში ჩაფლული 300 ძირი ვაზი, დანარჩენი კი ბოროტმოქმედთ უკვე გაეყიდათ.

მიხა ბერუკაშვილი საკოლმეურნეო ქონების განიავებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

კოლმეურნეობის საკუთრების მტაცებლის საქმე ამ დღეებში გაირჩა გურჯაანის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოში ამხ. ს. გველუკაშვილის თავმჯდომარეობით. მიხა ივანეს-ძე ბერუკაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით სამოქალაქო უფლებების აღკვეთა.

მ. სურგულაძე

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

26 ივნისს კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. სიმონიშვილის ლექცია თემაზე: ვ. ი. ლენინის შრომაზე — „მემარცხენე ბავშვობის შესახებ“ და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

27 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — ქირურგია, **ოქტომბერი**—შვიდი მამაცი, **დამკვრელი** (საზამთრო) — ესკადრილია № 5, **დამკვრელი** (საზაფხ.) — პატიმრები, **კომკავშირელი** (საზამთრო) — სოროჩინის ბაზრობა, **კომკავშირელი** (საზაფხ.) — სოროჩინის ბაზრობა, **რ. ლუქსემბურგის სახ.** — ესკადრილია № 5, **26 კომ. სახ.** (საზაფხ.) — კაპიტან გრანტის შვილები, **ორჯონიკიძის სახ. კ. დ. ც. პ.** — ახალგაზრდა კაპიტნები, **ახალი ამბები** — ჩვენი მოსკოვი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სავალდებულო დადგენილება

თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმისა 1939 წ. 22 მაისი (ოქმი № 10, § 40)

„ქალაქ თბილისში მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“

ქალაქ თბილისის ფარგლებში მალარიის ლიკვიდაციის მიზნით დაევალოს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მდებარე ყველა დაწესებულებას, საწარმოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახლთმმართველობებს და ცალკეულ სახლთმფლობელებს თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში:

1. დახურული დრენაჟით ან მიწის, ქვიშის ან ხვინჭის დაყრით ამოაშრონ ყველა ორმო, მიტოვებული ჭა, ამოთხრილი ადგილები და საზოგადოდ ის ადგილები, სადაც წყალი გუბდება.
2. მათს ტერიტორიაზე არსებული ყველა წყალსადინარი, სარწყავი და ამოსაშრობი არხები მოაწესრიგონ მათი გაწმენდითა და წყლის დინების მოწესრიგებით, რათა თავიდან იქნას აცილებული მათში წყლის ჩადგომა, ხოლო შემდეგში დაიცვან იქ სათანადო სისუფთავე და წესრიგი, არ დაუშვან მათში მცენარეულობის ზრდა და დანაგვიანება.
3. წყალსადენის ავზები და სხვა რეზერვუარები დასალევი წყლისათვის ან სამეურნეო საჭიროებისათვის დაიცვან სათანადო წესრიგში, ავზები და რეზერვუარები კარგად უნდა ირეცხებოდეს წყლის მცენარეებისა და სხვათაგან (წყალი მათში უნდა იცვლებოდეს 8-10 დღეში ერთხელ მაინც).
4. ჭები დაიცვან კარგად მორგებული თავსახურებით, წყალი სახანძრო კასრებში ან სხვა ჭურჭელში გამოსცვალონ 8-10 დღეში ერთხელ მაინც ან დაიცვან კარგად მორგებული თავსახურებით ან ბადეებით.
5. სარდაფებში, საკუჭნაოებში, იატაკქვეშა სივრცეებში, ფარდულებში, საჯინიბოებში, საქათმეებში, საპირფარეშოებში და აგრეთვე სხვა შენობებში, რომლებიც მათ გამგებლობაშია, დაიცვან სათანადო სისუფთავე და ხშირად გაწმინდონ ხოლმე ჰაერი.

სარდაფები, რომლებშიც ხდება გრუნტის ან სხვა წყლის დაგროვება, უნდა იწმინდებოდეს ამოქაჩვით ან ბადეების გაკეთებით.

6. ბაღების, პარკების, სკვერების, ბოსტნების, ეზოების, მოედნების ტერიტორიაზე მდებარე ტბები, აუზები უნდა იწმინდებოდეს წყლის მცენარეებისაგან, მათში გაშვებულ უნდა იქნას გამბუზია ან იცვლებოდეს წყალი 8-10 დღეში ერთხელ მაინც, თანახმად არსებული სანიტარული წესებისა.
7. წყალსადენის გარეგანი ონკანების გარშემო მოწყობილ უნდა იქნას ბეტონის ბაქნები და ჩამდინარე წყალი მილსადენით უნდა მიდიოდეს კანალიზაციაში ან ბუნებრივ წყალმიმღებში.
8. მდინარე მტკვრის ნიადაგიდან ქვიშისა და ხვინჭის ამოღების სამუშაოების დროს, აგრეთვე ბალახბელტებისა და თიხის ამოღების დროს, რაც იწვევს ორმოების გაჩენას, უკანასკნელები ამოვსებულ უნდა იქნას მიწით მათი გამოყენებისთანავე.
9. ყველა წყალსაცავი — მატლების კერები, რომლებიც რაიმე მიზეზით მოსპობილი არ არის, პერიოდულად უნდა დამუშავდეს მაზუთით ან ნავთით, თანახმად არსებული სანიტარული წესებისა.
10. თავიანთ ტერიტორიაზე ყოველგვარი ჰიდროტექნიკური და მიწის სამუშაოები, მათი ოდენობის მიუხედავად, აწარმოონ სათანადო სანიტარულ-ტექნიკური ზედამხედველობის მეთვალყურეობით.
11. ყველასათვის აკრძალულია ქალაქის მიწის ნაკვეთებზე, მოედნებზე, ეზოებში, ქუჩებში და ტროტუარებზე არხების, ორმოების ამოთხრა, აუზების და სხვა წყალსაცავების მოწყობა სათანადო რაისაბჭოების კომუნალურ განყოფილებათა ნებადაურთველად.
12. აკრძალულია ქუჩებში, ეზოებში, მოედნებზე და ტროტუარებზე სხვადასხვა უვარგისი საგნების გადაყრა, რომლებშიც შეიძლება ჩადგეს წყალი (დამტვრეული ჭურჭელი, თუნუქის ჭურჭელი, კონსერვის კოლოფები, ვედროები და სხვ.).
13. ამ დადგენილების სავალდებულო შესრულების ზედამხედველობა ეკისრებათ ქალაქ თბილისის რაისაბჭოებს, სახ. სანინსპექციის ორგანოებს და მილიციის რაიგანყოფილებებს.
14. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დამნაშავენი ადმინისტრატიული წესით დაჯარიმდებიან 100 მანეთამდე.
15. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ და ძალა აქვს მის გაუქმებამდე.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **კოტლამაზაშვილი.**
თბილისის საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის შემსრულებელი **ხეთაგური.**

654

საქ. სახელმწიფო საზაფხულო თეატრი და ბაღი

პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ № 3-18-50

საზაფხულო თეატრი
26, 27, 28, 29, 30 ივნისს
მუდმ. ადგ. ტალონი № 29, 30, 31, 32, 33
თათართა სიმღერების და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები
დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დილის 11 საათ. 3 საათ. საღ. 6 საათ. 11 საათ.

ღია ესტრადა
26, 27 ივნისს
ესტრადის საღამო
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი

აწარმოებს სტუდენტების მიღებას

პირველ კურსზე შემდეგ სპეციალობაზე:

1. **მოძრაობა და სატვირთო მუშაობა** (რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სექტორებზე).
2. **ორთქლმავლის მეურნეობა** (ქართულ, სომხურ და რუსულ სექტორებზე)
3. **რკინიგზების მშენებლობა და საგზაო მეურნეობა** (ქართულ, რუსულ სომხურ და აზერბაიჯანულ სექტორებზე).

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე, ხოლო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე განცხადებების მიღება უკვე სწარმოებს 1 მაისიდან და გაგრძელდება 1 აგვისტომდე.

განცხადებები გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: პლეხანოვის პროსპექტი № 138, ინსტიტუტის უფროსს, მიმღებ კომისიას.

განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს:

ა) დაწვრილებითი ბიოგრაფია,
ბ) ატესტატი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი),
გ) პასპორტი (წარმოდგენილ იქნას პირადად),
დ) სამი ფოტოსურათი (გადაღებული უნდა იყოს უქუდოდ), სასურველია 3×4 სანტიმეტრის ოდენობისა. თვითეულ სურათზე შემომსვლელის საკუთარი ხელმოწერით, სახელმწიფო დაწესებულების მიერ დამოწმებული,
ე) ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის).

ცნობების მიღების პირობების შესახებ და მისაღები გამოცდების პროგრამები — ინსტიტუტში (პლეხანოვის პროსპექტი № 138).

654 **დირექცია**

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თ ე ა ტ რ ი 1938-39 წ. სეზონი

27/VI	29/VI
ბიზე **კ ა რ მ ე ნ**	ბ. ასაფიევი **ბახჩისარაის შადრევანი**

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის

(საშუალო სკოლების ახლად კურსდამთავრებულთათვის)

მასალის გამეორების მიზნით იხსნება

ა ხ ა ლ ი ჯ გ უ ფ ი

პირობების გაგება ყოველდღე საღ. 6 საათიდან 10 საათამდე.
მისამართი: კალინინის ქ. № 51, რკინიგზის მე-5 სკოლა, მე-3 სართული.

2280

პირველი საავადმყოფო ბაღის და სათამამულოების ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან ნინოს და მაროს საყვარელ დის უმც. მეც. მუშაკის

თამარა ფარცხალაძის

გარდაცვალებას. 2303

დამწუხრებული მამა კონსტანტინე, ძმები კოლია, გიორგი ცოლშვილით, დები მარო, საშა, ნინო, სიძე ე. ბურჯანაძე იუწყებიან საყვარელ

თამარ ფარცხალაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/VI, 7 ს. მე-2 საავადმყოფოში, დაკრძალვა 28/VI, წულუკიძეში. 2304

დამწუხრებული მშობლები საბა, ბაბალე, ძმა გიორგი, და ქეთო, შვილები ანდალები, იზაბელა იუწყებიან ძვირფას

მიშა საბას-ძე ფურცელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 22 ივნისს გაგრაში. 2301

დამწუხრებული ბიძაშვილი ვანო ფარცხალაძე ცოლით ნინო ქაშიაშვილით და შვილით პატარა ლილიკოთი იუწყება საყვარელ

თამარ კონსტანტინეს-ასულ ფარცხალაძის

გარდაცვალებას. 2297

ქალაქის პირველი საავადმყოფოს გამანაწილებელი განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექ. ლიდა იმნაძეს მისი დედის

მარი ნიკოლოზის-ასულ იმნაძის

გარდაცვალების გამო. 2298

საქიუსტსახკომის და უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაცია და ადგილკომი იუწყებიან კონსტანტინე ოდიშარიას დის

ეკატერინე ოდიშარია-ანთაძის

გარდაცვალებას. 2299

დამწუხრებულნი მშობლები სონა, გიორგი, ბებია ვარა, დები ოლია, მაკო და მინადორა იუწყებიან

ირა (ივლიტა) ტყემალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ფაშიანში. 2306

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1702